# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№13 (10016) 2026 წლის 2 თებერვალი, ორშაბათი





## „რეფორმა“ მძიმედ დაიძრა!

# „სტუ“-ს აკადემიური „მუქარა“ მთავრობის ნაჩქარევ გადაწყვეტილებას!



2

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა და სამეცნიერო საზოგადოებამ ბიძინა ივანიშვილს ღია წერილით მიმართა**

3

## ქართული ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერება დღესაც მაღალი დონით გამოირჩევა







იხ. 4 გვ.



# დებატები,

## ანუ ყუთლუ-არსლანის კარავი



6

## სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის უბადლო მცოდნე

აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი — 85

# რას ცვლის

## ახალი საკანონმდებლო პაკეტი გრანტებსა და პოლიტიკურ საქმიანობაზე




5



7

## სტალინმა მართლა კინაღამ აჩუქა საქართველოს ჩრდილოეთ ოსეთი?!

# დაგენაცვლე, კეზერას „ძმობილო“, ეს რა ცოტა თანხაა!!!

**გერმანული მედიის ცნობით, კეზერაშვილის ახლო გარემოცვის წევრს მიხეილ ბინიაშვილს ქოლცენტრების საქმეზე ბრალი ოფიციალურად წარედგინა — ზარალი 230 მილიონ ევროს აჭარბებს**



იხ. 11 გვ.



# „გეპეის“ აკადემიური „მუქარა“ მთავრობის ნაჩქარევ გადაწყვეტილებას!



## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა და სამეცნიერო საზოგადოებამ ბიძინა ივანიშვილს ღია წერილით მიმართა

**როგორც წერილში აღნიშნულია, თბილისის სახელმწიფო და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტების შესაძლო გაერთიანება არ გამომდინარეობს „უმაღლესი განათლების სისტემის ეროვნული კონცეფციის“ არსიდან, მიზნებიდან და ლოგიკიდან.**

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი პატივისცემით ეკიდება უმაღლესი განათლების სისტემაში რეფორმების განხორციელების აუცილებლობას და მიესალმება იმ პრინციპებს, რომლებიც დეკლარირებულია „უმაღლესი განათლების სისტემის ეროვნული კონცეფციით“. თუმცა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შესაძლო გაერთიანება არ გამომდინარეობს აღნიშნული კონცეფციის არსიდან, მიზნებიდან და ლოგიკიდან, შესაბამისად, ვერ მივიღებთ იმ შედეგს, რაც რეფორმითაა განსაზღვრული.

დღემდე აკადემიური საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია მხოლოდ ზოგადი ფორმულირებები, რომელთა მიხედვითაც დაგეგმილი გაერთიანება – რაც არსობრივად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დამოუკიდებელი ინსტიტუციური სტატუსის გაუქმებას ნიშნავს – წარმოდგენილია, როგორც უმაღლესი განათლების სისტემის ოპტიმიზაციისა და განათლების ხარისხის გაუმჯობესების საშუალება. აღნიშნული განცხადებები, დეტალური შინაარსობრივი, სტრუქტურული და სამეცნიერო ანალიზის გარეშე, არ იძლევა საფუძველს კონსტრუქციული და პროფესიული დისკუსიის გასაშლელად.

სამწუხაროდ, დღემდე აკადემიურ საზოგადოებას არ გასცნობია რეფორმის კონცეპტუალური დოკუმენტები, მისი განხორციელების მოდელი, ვადები, ფინანსური უზრუნველყოფის გარანტიები (მექანიზმები), სამეცნიერო კომპონენტი ან რეფორმის შემმუშავებელთა პროფესიული შემადგენლობა. მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო საზოგადოება დაკომპლექტებულია როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში აღიარებული მეცნიერებითა და მკვლევრებით, თუმცა მათ არ ჰქონიათ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღოთ აღნიშნული რეფორმის განხილვასა და ფორმირებაში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ვერ განიხილება, როგორც რომელიმე სხვა ინსტიტუციის სტრუქტურული დანაყოფი ან „სკოლა“. ჩვენი თითოეული საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი წარმოადგენს დამოუკიდებელ სამეცნიერო-აკადემიურ სკოლას, რომელმაც ჩამოაყალიბა და განავითარა საინჟინრო აზროვნება და პრაქტიკა საქართველოში. ჩვენი ქვეყნის განვითარება იყო, არის და, რწმენა გვაქვს, იქნება დაფუძნებული ქართველი ინჟინრების ცოდნასა და პროფესიულ პასუხისმგებლობაზე. ეს არ არის მხოლოდ ემოციური სიტყვები, ეს არის ტრადიცია, წარსულის მემკვიდრეობა და მომავლის განვითარების საფუძველი.

ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე იგი უნივერსალურ სასწავლო-კვლევით დაწესებულებად ჩამოყალიბდა. უნივერსიტეტმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ქვეყნის ინდუსტრიული, ენერგეტიკული, სატრანსპორტო და ინფრასტრუქტურული სექტორების განვითარებაში. ასწლოვანი ისტორიის გათვალისწინებით, ტექნიკური უნივერსიტეტი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლადაც შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც ერთადერთი საინჟინრო-ტექნოლოგიური ცოდნის ტაძარია საქართველოში. დიდი ილია თავის დროზე ამბობდა: „თუ ქვეყანას 12 განათლებული ინჟინერი ეყოლება, ის უფრო სწრაფად და მყარად განვითარდება, ვიდრე მხოლოდ სიტყვით მოაზროვნე ადამიანებით“. საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა არათუ 12, მისი არსებობის 104-წლიანი ისტორიის განმავლობაში ნახევარ მილიონზე მეტი პროფესიონალი ინჟინერი გაუზარდა საქართველოს, რომელმაც შექმნა და ფეხზე დააყენა ეს ქვეყანა და ასეთ დამოკიდებულებას არც ჩვენი ისტორია, არც აწმყო და არც მომავალი არ იმსახურებს. ჩვენ ვერ ვიქნებით თაობა, რომელმაც დაუშვა ცოდნის ტაძრის დანგრევა და ქვეყნის დაბრუნება 100 წლით უკან, უფესვებო, უმომავლო საქართველოში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით, თქვენი ავტორიტეტითა და სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობით გვიშუამდგომლოთ რეფორმის შემმუშავებელ კომისიასთან, რათა მიმდინარე ეტაპზე აკადემიურ საზოგადოებას მიეწოდოს სრული და ამომწურავი ინფორმაცია დაგეგმილი რეფორმის შინაარსის, მიზნების, განხორციელების მექანიზმებისა და ვადების შესახებ. მიგვაჩნია, რომ მხოლოდ ღია, გამჭვირვალე და პროფესიულ დიალოგზე დაფუძნებული პროცესი უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების სისტემის რეალურ განვითარებასა და ეროვნული ინტერესების დაცვას.




საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საზოგადოების მოთხოვნაა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაერთიანების საკითხის საპარლამენტო მოსმენამდე, პარლამენტის განათლების კომიტეტისა და მთავრობის წარმომადგენლები მოვიდნენ ტექნიკურ უნივერსიტეტში და მოხდეს საჯარო განხილვა ჩვენს საუნივერსიტეტო საზოგადოებასთან. ან მოხდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლების დასწრება განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის საპარლამენტო განხილვაზე“.

---

**დავით ქართველიშვილი:**

# მიხაელ გალერი ევრო-პარლამენტის ტიპური „ცოფიანი ქოფაკია“!



**დავით ქართველიშვილი,** სოციალურ ქსელში, ევროპარლამენტარი მიხაელ გალერის განცხადებას ეხმიანება, სადაც გელერი ამბობს, რომ **„ამ მოსკოველმა არსებებმა, ივანიშვილმა და კობახიძემ, უნდა დატოვონ ქვეყანა“!..**

„მიხაელ გალერი – ევროპარლამენტის ტიპიური „ცოფიანი ქოფაკია“, რომლის ყოველი ანტიქართული გამოხტომა იმის ყველაზე კარგი ინდიკატორია, რომ საქართველო სწორ პოლიტიკურ კურსს ატარებს.

სუბიექტობადაკარგული ერთ-ერთი ევროპული სუბსტანციის ეს წარმომადგენელი, საკუთარ ოჯახში უამრავი პრობლემების გადასაფარად – იაფფასიანი შულერობით არის დაკავებული ქართველი პოლიტიკური ლიდერების მისამართით. დღეს საფრანგეთის ქუჩებში 50 ათასზე მეტი დემონსტრანტი გამოვიდა ევრობიუროკრატიის და კოლექტიური გალერების მიერ ევროპის კატასტროფამდე მიყვანის გამო – მაგრამ ის კვლავ საქართველოსთვის იცლის.

მისი ყოველი ანტიქართული საჯარო აქტივობა აგებულია დეზინფორმაციულ რეზოლუციებსა და განცხადებებზე, სადაც საქართველო წარმოდგენილია არა როგორც სუვერენული ლოგიკისა და უსაფრთხოების ინტერესების მქონე სუბიექტი, არამედ როგორც ვასალურ „შესაბამისობაში მოსაყვანი“ ობიექტი.

გალერის ფიგურის ირგვლივ ყველაზე ტოქსიკური შრეა – ინტერნეტში გავრცელებული ბრალდებები მის ფარულ ლობიზმსა და გარე დაფინანსებაზე, მათ შორის ვერსიები პროარაბეთის გაერთიანებული ემირატებისა და ანტიკატარული ლობიზმის თაობაზე – რაც უკვე ევროპარლამენტის უფრო „სავიზიტო ბარათად“ იქცა, ვიდრე გამონაკლისად.

ეს სიუჟეტები ფართოდ ცირკულირებს ქსელში და მათი მდგრადი არსებობა აჩვენებს იმ პოლიტიკოსის რეპუტაციულ მოწყვლადობას, რომელიც სხვებს აქტიურად ასწავლის „მორალს“, თუმცა რაც უფრო ხმამაღალია მორალური ლექციები, მით უფრო ყურადღებით აკვირდებიან მის საკუთარ კავშირებსა და მოტივებს. საქართველოსთან მიმართებით ყოველ ცილისწამებასა და უსამართლობას აუცილებლად მოჰყავს მოქმედებაში „ბუმერანგის პრინციპი“. ასე რომ, არ გაგვიკვირდეს უახლოეს მომავალში მისი გვარის სულ სხვა კონტექსტში მოხსენიება.

ჯერჯერობით კი, საბოლოო სურათი მარტივად ყალიბდება: მიხაელ გალერი – ბრიუსელის ნორმატიული ხაზის რიგითი მატარებელია, სადაც ნებისმიერი სუვერენიტეტი ეზიზღებათ, სუბიექტობის – ეშინიათ და მის მატარებლებს – ასე უკბილოდ ებრძვიან“.

---

**შალვა პაპუაშვილი:**

# მიხაელ გალერის ბრიყვული შეფასება ჩირქს სცხებს იმ ქვეყანას, რომელსაც ეს პოლიტიკოსი წარმოადგენს!

**მიხაელ გალერის ბრიყვული, დეჰუმანიზებაზე მიმართული ენის გამოყენება საქართველოს ლიდერებს კი არ ამცირებს, არამედ ჩირქს სცხებს იმ ქვეყანას, რომელსაც ეს პოლიტიკოსი წარმოადგენს,** – აღნიშნულის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილი** სოციალურ ქსელში წერს.





შალვა პაპუაშვილი ეხმაურება ევროპარლამენტარ მიხაელ გალერის იმ განცხადებას, სადაც მან აღნიშნა: **„ეს მოსკოვური არსებები – ივანიშვილი, კობახიძე და სხვები – არიან ისინი, ვინც უნდა დატოვონ ქვეყანა და ქართველი ხალხის დიდ უმრავლესობას საშუალება მისცენ, განაგრძონ გზა ევროპული საქართველოსკენ და არა საბჭოთა საქართველოსკენ“.**

როგორც გალერის საპასუხოდ პაპუაშვილი აღნიშნავს, ამგვარი მძიმე შეცდომის გამოსწორება პოსტის წაშლით და ბოდიშის მოხდით შეიძლება.

# ქართული ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერება დღესაც მაღალი დონით გამოირჩევა




**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ გამოსცა კრებული, რომელიც ქართული მეცნიერების ოთხმოცდახუთწლიან ისტორიას აჯამებს.**

## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 85 წლისთავი

**ა.წ. 10 თებერვალს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას დაარსებიდან 85 წელი შეუსრულდება. 1941 წლის 10 თებერვალს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ბაზაზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემია დაფუძნდა. ახლად დაფუძნებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი თექვსმეტი გამოჩენილი მეცნიერი გახდა: ნიკოლოზ მუსხელიშვილი, გიორგი ახვლედიანი, ივანე ბერიტაშვილი, კირიაკ ზავრიევი, ფილიპე ზაიცევი, ალექსანდრე თვალჭრელიძე, კორნელი კეკელიძე, ნიკოლოზ კეცხოველი, ტარასი, კვარაცხელია, დიმიტრი უზნაძე, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი ჩუბინაშვილი, გიორგი ხაჭაპურიძე, სიმონ ჯანაშია, ალექსანდრე ჯანელიძე.**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველ პრეზიდენტად სახელგანთქმული მათემატიკოსი **ნ. მუსხელიშვილი** აირჩიეს, ვიცე-პრეზიდენტად ასევე გამოჩენილი ისტორიკოსი **ს. ჯანაშია.**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წიაღში ჩამოყალიბებული მსოფლიოში აღიარებული ქართული მეცნიერული სკოლების – მათემატიკის, ფიზიკის, ბიოლოგიის, მედიცინის, ფსიქოლოგიის, ქართველოლოგიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის განვითარება მეცნიერებათა აკადემიაში გაგრძელდა და ახალი იმპულსი შეიძინა. აკადემიის ბაზაზე მალე რამდენიმე ათეული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება ჩამოყალიბდა, რომელიც მეცნიერების ყველა დარგსა და მიმართულებას მოიცავდა.

სქელტანიან კრებულს (559 გვ.) წინ უძღვის რედაქტორის, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს **როინ მეტრეველის** ვრცელი შესავალი, რომელშიც მიმოხილულია ქართული მეცნიერების არა მხოლოდ ოთხმოცდახუთწლიანი, არამედ განათლებისა და მეცნიერების უძველესი ქართული კერების ისტორიაც. ასევე, ხაზგასმულია ტრადიციის უწყვეტობისა და განგრძობადობის მნიშვნელობა.

კრებულის ავტორები არიან: ენათმეცნიერებისა და ლიტერატურის საკითხები – აკად. **ა. არაბული,** აკად. **ე. ჯაველიძე,** აკად. **ე. ხინთიბიძე,** წევრ-კორ. **ს. სიგუა**; ისტორიული მეცნიერება – პროფ.– **გ. არახამია;** ეთნოგრაფია/ეთნოლოგია– აკად. **ლ. მელიქიშვილი;** არქეოლოგია – ისტორიის დოქტორი **ჯ. ამირანაშვილი;** ქართული ფილოსოფია – წევრ-კორ. **ირ. ბრაჭული;** ფსიქოლოგია – აკად. **ირ. იმედაძე;** ხელოვნებათმცოდნეობა –წევრ-კორ. **ზ. სხირტლაძე;** ფიზიკური ანთროპოლოგია – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **ლ. ბითაძე;** სამართალმცოდნეობა – პროფ. **ბ. ქანთარია;** ეკონომიკური მეცნიერება – აკად. **ვ. პაპავა,** აკად. **ა. სილაგაძე,** აკად. **მ. ჯიბუტი,** პროფ. **რ. აბესაძე;** დემოგრაფია – აკად. **ვ. ლორთქიფანიძე;** მათემატიკა – აკად. **ალ. ხარაზიშვილი,** აკად. **თ. ქადეიშვილი;** ფიზიკა – **აკად. გ. ჯაფარიძე;** ასტრონომია და ასტროფიზიკა – პროფ. **ა. თევზაძე;** ბიოლოგიური მეცნიერებანი – აკად. **გ. კვესიტაძე,** აკად. **თ. სადუნიშვილი;** დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები – აკად. **თ. ჭელიძე,** აკად. **ე. გამყრელიძე,** აკად. **რ. გაჩეჩილაძე;** ფიზიოლოგია და მედიცინა – აკად. **რ. ხეცურიანი;** სოფლის მეურნეობა – აკად. **ა. კორახაშვილი;** გარემოს დაცვა – აკად. **ს. პავლიაშვილი;** წყალთა მეურნეობა – აკად. **გ. გავარდაშვილი;** ზოოტექნიკური მეცნიერება – პროფ. **გ. ბასილაძე;** ქიმიური მეცნიერებები – აკად. **ვ. ციციშვილი,** აკად. **რ. ქაცარავა,** წევრ-კორ. **გ. ტატიშვილი;** ტექნიკა და ტექნოლოგიები – აკად. **ელ. მეძმარიაშვილი;** ქართული ენციკლოპედია – პროფ. **ზ. აბაშიძე;** „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისა და ქართული ენის თესაურუსის კომიტეტი – აკად. **ა. არაბული;** აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრი – აკად. **ვ. პაპუნიძე.**

კრებული „ქართული მეცნიერება აკადემიის 85-ე წლისთავზე“, უპირველეს ყოვლისა, მიმოიხილავს აკადემიის არსებობის პერიოდში ქართული მეცნიერული სკოლების, მათ შორის, ფიზიოლოგიის, ფსიქოლოგიის, მათემატიკის, აღმოსავლეთმცოდნეობისა და ქართველოლოგიის საქმიანობასა და მიღწევებს. დიდი ადგილი ეთმობა ამ სკოლების საერთაშორისო აღიარების აღნიშვნასა და წარმოჩენას.

დღეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ცხრა სამეცნიერო განყოფილება ფუნქციონირებს. ესენია: მათემატიკისა და ფიზიკის, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა, საინჟინრო მეცნიერებათა და ინფორმაციული ტექნოლოგიების, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების, ბიოლოგიურ მეცნიერებათა, ფიზიოლოგიისა და მედიცინის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა, ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებები. კრებულში წარმოდგენილი სტატიები ცალ-ცალკე წარმოაჩენს ამ დარგებისა და მიმართულებების ისტორიას, განვითარებასა და მიღწევებს. განსაკუთრებით ხაზგასმულია აკადემიის წევრების მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში. აგრეთვე ის გარემოებაც, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრები მრავალი საერთაშორისო უცხოური პერიოდული გამოცემების რედაქტორებად თუ სარედაქციო კოლეგიის წევრებად გვევლინებიან. ამას გარდა, ისინი არჩეულნი არიან მრავალი ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიის წევრებად, მინიჭებული აქვთ საპატიო დოქტორის სამეცნიერო ხარისხი და სხვ.

**ქართული ფუნდამენტური თუ გამოყენებითი მეცნიერება ყოველთვის მაღალი დონით გამოირჩეოდა. ქართული მეცნიერება დღესაც ცდილობს, არ ჩამორჩეს თანამედროვე დროის გამოწვევებს და საკუთარი წვლილი შეიტანოს მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში. სწორედ ამის შესახებ მოგვითხრობს ეს კრებული, რომელიც ერთი ინსტიტუციის – მეცნიერებათა აკადემიის – ისტორიის ფონზე, ზოგადად, ქართული მეცნიერების ისტორიასაც გვაცნობს.**

**რუსუდან ლაბაძე,**
ისტორიის დოქტორი



# მინისტრმა გეკა გელაძემ მომსახურების სააგენტოს თანამშრომლები დააჯილდოვა

**შინაგან საქმეთა მინისტრი გეკა გელაძე, მოადგილე გიორგი სახოკიასთან ერთად, შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დაარსებიდან 19 წლისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებას დაესწრო, რომელიც რუსთავის ცენტრალურ დეპარტამენტში გაიმართა.**

მინისტრმა სააგენტოს თანამშრომლებს სამსახურის დაარსების დღე მიულოცა და მრავალწლიანი ნაყოფიერი შრომისთვის მადლობა გადაუხადა. გეკა გელაძემ ხაზი გაუსვა მომსახურების სააგენტოს მნიშვნელოვან როლს მოქალაქეებისთვის საჭირო სერვისების მიწოდების მიმართულებით.

**მომსახურების სააგენტოს დირექტორმა გიორგი გუნცაძემ სააგენტოს საქმიანობასა და მიმდინარე პროექტებზე ისაუბრა. შინაგან საქმეთა მინისტრმა მომსახურების სააგენტოს თანამშრომლები სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისთვის „მადლობის სიგელებით“ დააჯილდოვა.**

# სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრი სახელმწიფო უსაფრთხოების აკადემიად ჩამოყალიბდა

**სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრი სახელმწიფო უსაფრთხოების აკადემიად ჩამოყალიბდა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მინიჭების შემდეგ აკადემია სახელმწიფო უსაფრთხოების ერთწლიან სამაგისტრო პროგრამას განახორციელებს და მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს მოამზადებს.**



სახელმწიფო უსაფრთხოების აკადემიის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების და აკადემიის მიერ განსაზღვრული შიდა გამოცდის საფუძველზე. სწავლა უფასო იქნება.

**„სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრი, რეფორმის ფარგლებში, გარდაიქმნა და ჩამოყალიბდა აკადემიის სტატუსით. აკადემია წლის განმავლობაში პირველად განახორციელებს სამაგისტრო პროგრამას, ეს არის მნიშვნელოვანი სიახლე. სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს სისტემის უზრუნველყოფას მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი კადრებით. პროგრამა მოიცავს როგორც ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების მნიშვნელოვან კომპონენტებს, ასევე ფიზიკური, საცეცხლე და ფსიქოლოგიური მომზადების საკითხებს. სამაგისტრო პროგრამა განკუთვნილია ბაკალავრის ხარისხის მქონე სტუდენტებისთვის. ისინი პროგრამაზე მოხვდებიან ეროვნული გამოცდების შედეგად. სწავლა იქნება უფასო“,** – განაცხადა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ **ლაშა მაღრაძემ**.

გარდა ამისა, სახელმწიფო უსაფრთხოების აკადემია უფლებამოსილი იქნება განახორციელოს სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც მიზნად ისახავს პროფესიული ცოდნის გაღრმავებას და უნარ-ჩვევების განვითარებას.

ვიდრე ხელისუფლების მიერ გამოცხადებულ პოლიტიკურ ოპონენტებთან შესაძლო დებატების, მისი გამართვის შესაძლებლობასა და აქტუალობაზე ვისაუბრებდეთ, ძალიან მოკლედ გავიხსენოთ, რას ნიშნავს და საიდან გაჩნდა ტერმინი „დებატი“.

დებატი, ანუ აზრთა გაცვლა-გამოცვლა დაინტერესებულ მხარეებს შორის თანხმობის მიღწევის მიზნით, ოფიციალურად ჯერ კიდევ ძველი საბერძნეთიდან მოდის. მეტიც, შესაძლოა, იგი სათავეს იმ ეპოქიდან იღებდეს, როცა ადამიანებს შორის უთანხმოება პირველად გაჩნდა. ანუ აბელისა და კაენის ეპოქაში დებატების ტრადიცია რომ არსებულიყო, ღვიძლ ძმებს შორის უთანხმოება ტრაგიკულად არ დამთავრდებოდა. დებატი არის რაღაც მოსაზრების ლოგიკურად, მტკიცებულებათა მოშველიებით დასაბუთება. შესაბამისად, იგი დებატებში გამარჯვებულისა და დამარცხებულის არსებობას გულისხმობს.

თუ არისტოტელეს დავუჯერებთ, დებატებისას მთავარია სიმართლის დადგენა და არა ბრძოლა გამარჯვებულის მანტიისთვის.







# დებატები,
## ანუ ყუთლუ-არსლანის კარავი







**უახლეს ისტორიაში ყველაზე გახმაურებული, მთელ ცივილიზებულ სამყაროში გავრცელებული ტელედებატები გაიმართა 1960 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტობის მაშინდელ კანდიდატებს, ჯონ კენედისა და რიჩარდ ნიქსონს შორის. სამწუხაროდ, ვასილ მჟავანაძესა და საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივნის პოსტზე მის შემცვლელ ედუარდ შევარდნაძეს შორის არასოდეს არავითარი დებატები არ გამართულა.**

თუმცა, ეს ფაქტი სულაც არ ნიშნავს, რომ „დებატების ინსტიტუტი“ ქართული სინამდვილისთვის უცხო ხილია. ჯერ კიდევ რვა საუკუნის წინათ, მე-13 საუკუნის დასაწყისში, ქვეყნის დემოკრატიულ პრინციპებთან დაკავშირებით, უთანხმოება ჩამოვარდა „აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა, შირვანთა და შაჰანშათა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმფლობელობითა მპყრობელ მეფეთ მეფე და დედოფალთ დედოფალ“ თამარს და მის მეჭურჭლეთუხუცეს (ფინანსთა მინისტრ) ყუთლუ არსლანს შორის.

ოფიციალური მონაცემებით, უთანხმოების უმთავრესი მიზეზი იყო სახელმწიფოს კუთვნილი ფინანსების მართვის სისტემა. პროტესტის ნიშნად ყუთლუ არსლანმა სამეფო სასახლესთან კარავი გაშალა და სადავო საკითხების მოგვარება იქიდან სცადა. თამარმა და სამეფო „დარბაზმა“ გამოწვევა მიიღეს და მეჭურჭლეთუხუცესთან გამართეს მოლაპარაკება, რომელიც თამარის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ქალბატონებმა კრავაი ჯაყელმა და ხვაშაქ ცოქალმა წარმატებით დააგვირგვინეს.

საბოლოოდ, კარავი მშვიდობიანად აიღეს, ხოლო მოგვიანებით ყუთლუ არსლანი მეჭურჭლეთუხუცესის (რანგით მეოთხე პირი სამეფო კარზე) თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

**გავბედავ და, იმასაც შეგახსენებთ, რომ იმ შორეულ ეპოქაში, როცა საქართველო დემოკრატიული პრინციპებით იმართებოდა, ბევრი ჩვენთვის დღეს უკვე სანატრელი ევროპული სახელმწიფო, საერთოდ, არ არსებობდა, ან ღრმა უკუნეთში ცხოვრობდა.**

**დღევანდელობას რომ დავუბრუნდეთ, ქართულ პოლიტიკურ სივრცეში დებატების დანერგვის მცდელობა დღევანდელი ხელისუფლებისა და ოპოზიციის დამსახურებაა. თუმცა, იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ თავის დროზე დებატების გზით ოპონენტებთან თანხმობის მიღწევისა და მოსალოდნელი მძიმე პოლიტიკური დაპირისპირებების თავიდან აცილების მცდელობები ჰქონდათ ჯუმბერ პატიაშვილსაც, ზვიად გამსახურდიასაც და ედუარდ შევარდნაძესაც. სამწუხაროდ, უშედეგოდ.**

* * *

**ახლა კი, მოდი, ზერელედ მაინც ვნახოთ, თეორიულად ვისთან შეიძლება გამართოს დებატები ხელისუფლებამ.**

მართალია, ახლახან რომელიღაც ზღვის გადამცურველი (თვითონ გვამცნო) ცრუპენტელობის მამამთავარი **სააკაშვილი,** თურმე, ერის, სამშობლოს, ხაზესა და თინა ბოკუჩავას ინტერესებიდან გამომდინარე, მზადაა დებატებში ჩაერთოს, მაგრამ





ეს, ალბათ, შეუძლებელი იქნება – სააკაშვილი ციხეშია.

ხელისუფლებას დებატები არც ოდესღაც სააკაშვილის რჩეულ და დღეისათვის ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერად ჩამოქვეითებულ **ხატია დეკანოიძესთან** გამოუვა. თვითონვე ბრძანა, „მე ამათთან (ანუ მმართველ გუნდთან) სალაპარაკო არაფერი მაქვს. მზად ვარ, „იმედზე“ მივიდე და ქართველ ხალხს ველაპარაკო“.

თუ ხატია დეკანოიძეს მე და ჩემისთანებიც „ქართველ ხალხად“ მიაჩნია, მადლობის მეტი რა მეთქმის. მაგრამ ერთი რამ ვერ გავიგე – თუ ამ ქალბატონს ქართველ ხალხთან ლაპარაკი შეეძლო და უნდოდა კიდეც, დარჩენილიყო პარლამენტში, ქვეყნის უმაღლეს „სალაპარაკო“ ორგანოში!

თუმცა, ეს იქით იყოს და, მოდი, ძალიან მოკლედ გავიხსენოთ, ვინ არის სამშობლოს სიყვარულით გულდამწვარი ქალბატონი ხატია:

22 წლისამ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი; **RAND Corporation**-ის შუამავლობით გაიარა სპეციალური მომზადება მეგობარ ევროპაში; 27 წლისა დაინიშნა სააკაშვილის უშიშროების სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსად; 28 წლისა – საქართველოს ელჩად აშშ-ში; 30-სა – საქართველოს შსს-ს აკადემიის რექტორია; 35-სა – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი; იყო უკრაინის ეროვნული პოლიციის უფროსი, მარშალის უსაფრთხოების ცენტრის თანამშრომელი, ეუთოსა და **INL**-ის ექსპერტი ...

ახლა თავად გადაწყვიტეთ, ვის შეიძლება გაუყადროს თავი სადებატოდ ქალბატონმა ხატიამ.

იმის მიუხედავად, რომ ციხიდან ახალი გამოსული თითქმის ზელადი **ნიკა გვარამია** საკმაოდ მხნედ გამოიყურება (ეჭვი არც მის სიმამაცეში მეპარება!), ვფიქრობ, დებატებზე ისიც სასტიკ უარს განაცხადებს. საქმე ის გახლავთ, რომ როგორც ზემოთ მოგახსენეთ, დებატები თავისი არსით გულისხმობს რაღაცის დასაბუთებას ფაქტების მოშველიებით. ამ „დიდი პოლიტიკოსის“ რწმენით კი, ჩვენ უნდა ვიაზროვნოთ და ვილაპარაკოთ (ვამტკიცოთ) არა ფაქტების მოშველიებით, არამედ - აღქმებით.

**არის კიდევ ერთი „პატარა“ მიზეზი, რის გამოც გვარამიასთან დებატები, უბრალოდ, შეუძლებელია. სააკაშვილთან მის მრავალწლიან მეგობრობას და თანამშრომლობას არ ვგულისხმობ – ეს გახლავთ აბსოლუტურად უპრინციპო ადამიანი, ვისთვისაც მთელი ერის უმძიმესი შეურაცხყოფა არაფერია; ვისაც შეუძლია საჯაროდ დედა აგინოს ნებისმიერ თანამოქალაქეს და მერე მასთან ერთად თქვლიფოს ჩაქაფული მისივე ჩაფსმული ქვაბიდან.**

მეეჭვება, დებატებში მონაწილეობას დასთანხმდეს სააკაშვილის შემდეგ მეორე მარადიულ პრეზიდენტად თვითაღიარებული **სალომე ზურაბიშვილი.** ისიც საეჭვოა, მისი კანდიდატურა რომელიმე ოპოპარტიამ წარმოადგინოს და ისიც, მისთვის ოპონენტი გამოიძებნოს. თანაც, მისი მონაწილეობით დებატების მიმდინარეობისას უეჭველად დაგვჭირდება ვინმე გამოცდილი თარჯიმანი – **სალობაბოლოგი**. თუმცა, ვფიქრობ, ჩიტი ნაღდად ღირს ბდღვნად. ანუ ზურაბიშვილის დებატებში მონაწილეობა ურიგო საქმე არ იქნება – ბოლოს და ბოლოს, თვით მართლმორწმუნე ნაცებმაც ხომ უნდა დაინახონ, რომ „პღეზიდენტი“ შიშველია, სალომე ზურაბიშვილს არავინ არაფერს აბრალებს, იგი მართლაც ერთი პრიმიტივი, ცრუპენტელა, მოაგენტო ტიპია და მეტი არაფერი!

იცოცხლეთ, დებატებში მონაწილეობისთვის უშესანიშნავესი სარეკლამო პერსონა იქნებოდა მსოფლიოო ბანი **პაატა ბურჭულაძე.** მაგრამ, სამწუხაროდ, მისმა „პოლიტიკურმა მოღვაწეობამ“ ნათლად დაგვანახა (რაც მთავარია, ოპოლიდერებსაც დაანახა), რომ ამ ბატონს ნებისმიერი მარტივი აზრის დასაბუთებულად გადმოცემა არ შეუძლია. ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს მართალი სიტყვის მნიშვნელობაზე და, შესაბამისად, ერთმანეთში ურევს სხვადასხვა ტიპისა და შინაარსის ტყუილებს. თუმცა, ოპობელადების თანხმობის შემთხვევაში, არის ერთი გამოსავალი – სათქმელის სიმღერით გადმოცემა... ლა-სკალას სოლისტს ეს არ გაუჭირდება და მსმენელიც კმაყოფილი დარჩება. ჯანდაბას, შეიძლება ლა-სკალას ძველი ვიდეოჩანაწერებითაც ვისარგებლოთ.

ურიგო არც **დავით უსუფაშვილის** კანდიდატურაა – ალკკ წევრი 1984 წლიდან, სკკპ წევრი 1989 წლიდან, შევარდნაძის ხელისუფლების მრავალგზის მაღალჩინოსანი, ავად ცნობილი საიას დამფუძნებელი და მისი პირველი თავმჯდომარე, რესპუბლიკური პარტიის დამფუძნებელი და თავმჯდომარე, პარლამენტის წევრი „ქართული ოცნებიდან“ და პარლამენტის თავმჯდომარე, პოლიტიკური პარტია „შენების“ დამფუძნებელი, პარტია „ლელოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და დღემდე მისი პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე...

ამ შემთხვევაში პრობლემურია, ვინ დაუჯდება სადებატოდ ასეთი ბიოგრაფიის მქონე ადამიანს.

**ირინა სარიშვილსაც** ნუ დავივიწყებთ, პრემიერ კობახიძეს ამ სიტყვებით რომ მიმართავს: „გავიგე, დებატებისთვის მზად ყოფილხარ და, მოდი, აბა, მამაშენთან ერთად, თენგიზ შარმანაშვილი და ირაკლი ქადაგიშვილი წამოიყვანე და მე მარტო ვიქნები“.

ირინა ბებოს, მგონი, თავი მაია წყნეთელი თუ არა, ძიუდოისტი ეთერ ლიპარტელიანი მაინც ჰგონია – ტატამზე სამ კაცს ერთად იწვევს!.. ეეეჰ, ცუდი რამეა ე ოხერი სიბერე! განსაკუთრებით მაშინ, როცა ვერ ხვდები, რომ დაბერდი და უიმედოდ გამოყეყეჩდი...

**ვინ უნდა დაუჯდეს სადებატოდ მართლაც ყოვლად გამოგირჩეულ ზურაბ ჯაფარიძეს – თვითმარქვია „პოლიტიკოსს“, გუშინ რომ გვამუნათებდა, სააკაშვილი ციხიდან უნდა გამოვუშვათ, რომ გვიბელადოს და ხელისუფლება დაგვამარცხებინოსო; ღია ეთერში ნარკოტიკებს რომ რგავდა და ახალგაზრდობას ნარკომანიისკენ მოუწოდებდა; საქვეყნოდ რომ პროსტიტუციას გვიქადაგებდა – ვისი რა საქმეა,**

# სუვერენიტეტის დაცვა თუ პოლიტიკური კონტროლი?!

**მე ჩემი პირით, ხელით თუ უკანალით ორგაზმს ვის განვაცდევინებ და ამაში ფულს ავიღებო; ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას რომ უშვერი სიტყვებით ლანძღავდა და მორწმუნეებს ტაძარში სიარულის ნაცვლად „გასაგერ ეკლესიებს“ თავაზობდა; ქართველ ახალგაზრდობას სამხედრო სამსახურისგან თავის არიდებისკენ რომ მოუწოდებდა და მითიური ეპისკოპოსის „წოდებებს“ ურიგებდა; უკრაინელებისთვის საქმის გასაიოლებლად საქართველოში ათი ათასი რუსი ოკუპანტის შემოსვლაზე რომ ოცნებობდა**

ამ ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მაშინ რას ვშვრებით, მრავალტანჯულმა გირჩმა ჯაფარიძემ ტელეობიექტივების წინ შარვალი რომ ჩაიხადოს და საკუთარ სიმართლეში დასარწმუნებლად ოპონენტს შიშველი უკანალი მიუშვიროს? – არ მითხრათ ახლა, არ იკადრებსო!

კაცმა რომ თქვას, დღევანდელ საქართველოში ერთადერთი **რომან გოცირიძეა**, ვისაც შეეძლო დაუმადლებლად მოერგო ამბოხებული მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუ არსლანის როლი. სავარაუდოდ, ხელისუფლების წარმომადგენლებიც უარს არ იტყოდნენ მასთან დებატებზე. მსმენელი და დამკვირვებელიც ბევრი იქნებოდა. თუმცა, ბატონმა რომანმა ისეთი პირობა წამოაყენა, ყუთლუ არსლანი საფლავში გადაბრუნდებოდა: „მზად ვარ ვედებატო ნებისმიერს ფასებთან დაკავშირებით ერთი პირობით: თითქმის 15 წელია, რაც ვასწავლი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში მონეტარულ ეკონომიკას, რომლის დიდი ნაწილი ფასებს ეხება. ვისაც დებატები სურს, გაიაროს ჩემი ლექციის ერთთვიანი კურსი. ამის შემდეგ დავსხდეთ და ვიდებატოთ, ოღონდ წინასწარ გაფრთხილებთ, ეს არ იქნება დებატები ტრადიციული გაგებით, რადგან ორივე ერთ ხმაში ვილაპარაკებთ“.

როგორც გავიგე, მთავრობაში უკვე შეუქმნიათ „რომანისტული მონეტარული ეკონომიკის“ შემსწავლელი ჯგუფი, რომელიც ბატონ რომანთან სადებატოდ მხოლოდ ორი წლის შემდეგ იქნება მზადო.

მანამდე კი, ალბათ, ოპოზიციას და ხელისუფლებას ერთობლივად მოუწევთ ძალისხმევა საქართველოს პოლიტიკური არენიდან კარგა ხნის წინათ გამქრალი და ბოლო დროს მოულოდნელად ხელახლა ამობრწყინებული „საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელ“ **გურამ აბსანძის** დებატებში მონაწილეობაზე დასათანხმებლად. მეჭურჭლეობის გამოცდილება აქვს? – აქვს! ნაცმოძრაობა უყვარს? – უყვარს! ფულის ყადრი იცის? – იცის! მარადიული პრემიერ-მინისტრი არის? – არის! დიდი წონა აქვს? – აქვს!

ვფიქრობ, დებატებში მონაწილეობას ვერ მიიღებს ნაცმოძრაობის დღევანდელი ბელადი **თინა ბოკუჩავაც** – მონოლოგების თაყვანისმცემელი ქალბატონი, ვისაც მხოლოდ სააკაშვილის მოსმენა შეუძლია და ვისაც, სხვისი აზრი, საერთოდ, ფეხებზე ჰკიდია.

აღარაფერს ვამბობ პოლიტიკის ლაბირინთებში მარადიულად მოხეტიალე **გუბაზ ლევანიჩსა** და მის აწ უკვე სახელგანთქმულ პოლიტიკოს ვაჟ **ლევან გუბაზიჩზე...** ეს ის სახელგანთქმული პოლიტიკოსი მამა-შვილია, ვინც თუნდაც კაია კალასთან ან დონალდ ტრამპთან პოლიტიკურ დებატებში მონაწილეობაზე ცხრა მილიონ დოლარზე ნაკლებად არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდება. საჰონორარო თანხა კი არ არის ბევრი, სანიკიძეების მსოფლიო პოლიტიკური ავტორიტეტია ციური!

ამდენ ფულს კიდე ბოლო დროს უცხოურ დაფინანსებაზე მოწუწუნე ოპოზიცია ვერ გადაიხდის, ხელისუფლება კიდევ – პრინციპულად არ გადაიხდის!

მოკლედ, იმის დადგენა მინდოდა, ვისთან აპირებს ხმამაღლა გამოცხადებული დებატების გამართვას ქართველი ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება – დაბადებიდანვე გაიძვერა და ცრუპენტელა **გიორგი ვაშაძესთან**, ქართველი ხალხის საჯაროდ დედის მაგინებელ **ზურაბ ჭიაბერაშვილთან,** პათოლოგ ცრუპენტელა **შალვა ნათელაშვილთან**, სამშობლოს ორ შაურად გამყიდველ **გიორგი გახარიასთან**, ვერაზე მონავარდე ტურების შიშით იარაღასხმულ და ქართველი ხალხის სიყვარულით სასამართლოს შენობის აფეთქების დაუძლეველი სურვილით შეპყრობილ **ალეკო ელისაშვილთან**, საკუთარი ქვეყნის რუსეთ-უკრაინის ომში ჩათრევის სურვილით შეპყრობილ **გიგი უგულავასთან**?...

იქნებ ამ საქმისთვის უიმედოდ ყავლგასული და წარუმატებელი ჟურნალისტ-პოლიტიკოსი **ირაკლი ტაბლიაშვილი** და მობოევიკ-მოჟურნალისტო **მზია ამაღლობელი** გამოდგნენ...

იქნებ ყველას მაინც ბრძენმა ქალბატონმა **ნატა ფერაძემ** აჯობოს (ხატი და პორტრეტი ერთმანეთისგან რომ ვერ გაურჩევია) და, სავარაუდოდ, დებატებზე ოპონენტისთვის სახეში შესასხმელად ხელში ლურჯი ფერის ზეთოვანი საღებავით გამოცხადდეს...

იქნებ ყველას იმ ქალბატონებმა აჯობონ, პარლამენტის სხდომათა დარბაზში მომწამლავ სითხეს რომ აფრქვევდნენ; მაგიდებზე რომ დარბოდნენ და დღეს რუსთაველის პროსპექტზე დედის გინებით თავის გამოჩენას რომ ცდილობენ;

ან იქნებ იმათ, საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებაზე რომ ოცნებობენ, რუსთაველის პროსპექტზე თანამემამულეების უშვერი გინებით რომ ერთობიან და მეგობარ ირანელებს გულისამაჩუყებელ სიმღერებს უძღვნიან...

**არ ვდავობ, ამ ქვეყანაში, ისევე, როგორც დანარჩენ მსოფლიოში, სადავო და სადებატო მართლაც ბევრია. დებატები მართლაც აუცილებელია, მაგრამ იგი უნდა გაიმართოს კომპეტენტური, მშვიდი, ჭკვიანი, ქვეყნის ალალად მოყვარული, პოლიტიკურად არაანგაჟირებული ადამიანების მონაწილეობით.**

**მერწმუნეთ, ასეთი ადამიანი საქართველოში საკმაოდ ბევრია. მათი დანახვა და დაფასებაა საჭირო.**

**კინაღამ დამავიწყდა – ყუთლუ არსლანის კარავი დღევანდელი თბილისის ისნის რაიონში, მეფის სასახლესთან იყო გაშლილი.**



**თეიმურაზ ქორიძე**

27. 01. 2026




# რას ცვლის ახალი

## საკანონმდებლო პაკეტი გრანტებსა და პოლიტიკურ საქმიანობაზე

**საქართველოს პარლამენტში ინიცირებული ახალი საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ შეიმუშავა, ქვეყნის პოლიტიკური და ფინანსური სუვერენიტეტის განმტკიცებისკენ გადადგმულ უპრეცედენტო ნაბიჯად ფასდება. ცვლილებების არსი მარტივია: ნებისმიერი უცხოური დაფინანსება, რომელიც პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის მოხდენას ისახავს მიზნად, უნდა იყოს გამჭვირვალე და ხელისუფლების მიერ სანქცირებული. მმართველი გუნდის გადაწყვეტილება განპირობებულია ბოლო წლებში დაგროვილი გამოცდილებით, როდესაც „შავი ფული“ და გარედან მართული გრანტები ხშირად ხდებოდა ქვეყანაში დესტაბილიზაციის, რადიკალური პროტესტებისა და ე.წ. „რევოლუციური სცენარების“ დაფინანსების წყარო.**

### რატომ ახლა და რა სახის „მავნებლობას“ ალკვეთს კანონი?

**ხელისუფლების განმარტებით, ამ გადაწყვეტილების მიღება სწორედ ახლა გახდა კრიტიკულად აუცილებელი, რათა დასრულდეს პრაქტიკა, როდესაც საქართველოში პოლიტიკური დღის წესრიგი არა ამომრჩევლის ნებით, არამედ უცხოური ფონდების მიერ ფინანსდება.**

მმართველი გუნდის წარმომადგენლები, მათ შორის, გია ვოლსკი და არჩილ გორდულაძე, პირდაპირ მიუთითებენ, რომ უცხოური რესურსი ხშირად ხმარდება ისეთ ქმედებებს, რომლებიც სახელმწიფო ინტერესებს აზიანებს – იქნება ეს სიძულვილის ენის კამპანიები, თუ „მოლოტოვის კოქტეილების“ კულტის წახალისება. ხელისუფლებისთვის „მავნებლობა“ სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ არასამთავრობო სექტორისა თუ ლობისტური საქმიანობის საფარქვეშ, ქვეყანაში შემოდის თანხები, რომლებიც რეალურად პოლიტიკური პარტიების ფარულ დაფინანსებასა და ანტისახელმწიფოებრივ აგიტაციას ემსახურება. კანონის მიზანია, პოლიტიკა გაიწმინდოს გარე გავლენებისგან და დაუბრუნდეს ადგილობრივ აქტორებს.

### ვის ეხება და ვის – არა ახალი რეგულაციები?

**საკანონმდებლო ცვლილებები სულ შვიდ კანონში შედის და მკაცრ ფილტრებს აწესებს:**

**იურიდიული პირები** – ორგანიზაციები, რომლებიც გრანტს იღებენ, ვალდებულნი იქნებიან, მიიღონ მთავრობის წინასწარი ნებართვა. ეს განსაკუთრებით ეხება საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც საქმიანობას საქართველოში ეწევიან.

**პოლიტიკური აქტივობა** – ნებისმიერი პირი (საქართველოს თუ უცხოეთის მოქალაქე), რომელიც ფულის ან სარგებლის სანაცვლოდ, პოლიტიკურ აქტივობას განახორციელებს, დაექვემდებარება სანქციებს.

**ვის არ ეხება** – არჩილ გორდულაძის განმარტებით, კანონი არ შეეხება ემიგრანტების მიერ ოჯახის წევრებისთვის გამოგზავნილ თანხებს, თუ ეს თანხა არ არის განკუთვნილი პოლიტიკური საქმიანობისთვის. ასევე, მეწარმეებს შეეძლებათ პოლიტიკური აქტივობა მხოლოდ საკუთარ ბიზნეს-საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

### ლობიზმი და მკაცრი პასუხისმგებლობა

**ქართულ მედია-სივრცეში ლობიზმი ხშირად განიხილება, როგორც ლეგიტიმური საქმიანობა, თუმცა ახალი ცვლილებებით, „ფარული ლობიზმი“ სისხლის სამართლის დანაშაული ხდება.**

თუ პირი უცხოური დაფინანსებით ეწევა პოლიტიკურ ლობირებას მთავრობის თანხმობის გარეშე, მას ემუქრება: ჯარიმა ან საზოგადოებრივი შრომა (300-500 საათი); თავისუფლების აღკვეთა 6 წლამდე.

ფულის გათეთრების მუხლით (194-ე მუხლი) – თუ დადასტურდება ფულის გათეთრება პოლიტიკური მიზნებისთვის, სასჯელი 9-დან 12 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

### ხელისუფლებისა და ოპოზიციის პოზიციები

**გია ვოლსკი აცხადებს, რომ „უცხოურ თანხას არაფერი ესაქმება ქართულ პოლიტიკაში“. მისი თქმით, მაშინაც კი, როდესაც ევროპელი ჩინოვნიკები ღიად ამბობენ, რომ გამჭვირვალობის კანონის გვერდის ავლით მონახავენ გზებს თანხების შემოსატანად, ეს უკვე „შავი ფულია“, რომელიც დესტაბილიზაციას ემსახურება. ხელისუფლება მიიჩნევს, რომ ეს არის „ამერიკული მოდელის“ ანალოგი, სადაც პოლიტიკაში უცხოური ფულის ჩარევა მკაცრად ისჯება.**

ოპოზიციური სპექტრი და სალომე ზურაბიშვილი ამ ნაბიჯს „ტოტალურ რეპრესიებს“ უწოდებენ. ექსპრეზიდენტის შეფასებით, ეს არის „რუსული მოდელი“, რომელიც მიზნად ისახავს თავისუფალი პოლიტიკური ცხოვრების ჩახშობას. **ვანო წერეთელი** („კოალიცია ცვლილებისთვის“) მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილს სურს, სრული კონტროლი დაამყაროს „თავისუფალ ფულზე“, რათა ქვეყანაში საბოლოოდ გააფორმოს ავტოკრატია. მისი თქმით, ეს კანონი არამხოლოდ NGO-ებს, არამედ სამეცნიერო და საგანმანათლებლო სფეროსაც დააზიანებს.

საერთაშორისო ასპარეზზე, ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **მარგუს ცაჰკნა** უკვე საუბრობს რეჟიმის ლიდერების წინააღმდეგ შესაძლო შეზღუდვებზე, რაც მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნული კანონპროექტი საქართველოსა და მის პარტნიორებს შორის ურთიერთობის კიდევ ერთი მწვავე გამოცდა გახდება.

იხ. 6 გვ.

**ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრს, სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანს, აკადემიკოს ზურაბ ცქიტიშვილს მიმდინარე წლის 31 იანვარს დაბადებიდან 85 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 60 წელი შეუსრულდა.**



# სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის უბადლო მცოდნე

## აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი – 85

**ზურაბ ცქიტიშვილი დაიბადა 1941 წელს ქალაქ თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. 1959 წელს ქ. თბილისის მე-18 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიისა და კვების ტექნოლოგიის ფაკულტეტზე, სასურსათო პროდუქტების ტექნოლოგიის სპეციალობით, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1965 წელს და განაწილებით დაიწყო მუშაობა ქ. თბილისის რძის კომბინატში მიმღები საამქროს უფროსად. 1972 წელს მუშაობა გააგრძელა გარდაბნის ყველ-კარაქის ქარხნის წარმოების უფროსად, ხოლო 1973 წელს – იმავე ქარხნის დირექტორად. 1976-1991 წლებში ბატონი ზურაბ ცქიტიშვილი იყო საქართველოს რძის გაერთიანების მთავარი ინჟინერი; 1991-1993 წლებში – თბილისის რძის კომბინატის გენერალური დირექტორი, ხოლო 1993 წლიდან ს/ს „ამალთეას“ პრეზიდენტი. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქვეყანაში რძის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებაში.**

1995-2007 წლებში ბატონი ზურაბი არჩეული იყო საქართველოს პარლამენტის სამი მოწვევის დეპუტატად. 1995-2002 წლებში იგი გახლდათ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე. აღსანიშნავია, რომ 1995 – 2006 წლების სადეპუტატო უფლება-მოვალეობის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მისი ინიციატივით მიიღეს საქართველოსათვის რამდენიმე მნიშვნელოვანი კანონი, მათ შორის: „ეროვნული დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“, „სურსათის ხარისხისა და უვნებლობის შესახებ“, „სავაჭრო პალატის შესახებ“ და სხვა.

მეცნიერული მოღვაწეობა ზურაბ ცქიტიშვილმა დაიწყო ქალაქ მოსკოვის რძის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში სწავლისას. 1979 წელს იქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, 1991 წელს ქალაქ მოსკოვის ხორცის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1994 წელს ზურაბ ცქიტიშვილი არჩეული იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1997 წელს – აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად).

2013 წლიდან ბატონი ზურაბი ბრძანდებოდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოების და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, 2015 წლის სექტემბრიდან აკადემიის სურსათის უვნებლობის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს–მდივანი, ხოლო 2018 წლიდან დღემდე იგი გახლავთ სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი და აკადემიის დარგობრივი კოორდინატორი სურსათის უვნებლობის მიმართულებით.

2014 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ახლად ჩამოყალიბებულ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევით ცენტრში შეიქმნა სურსათის უვნებლობის სფეროში რისკის შეფასების სამსახური, რომელსაც ბატონი ზურაბ ცქიტიშვილი ჩაუდგა სათავეში. ამავე ცენტრში იგი იყო არჩეული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარედ.

ყველასთვის ცნობილია ბატონი ზურაბ ცქიტიშვილის დამსახურება საქართველოში რისკის შეფასების სისტემის შექმნასა და ჩამოყალიბების საკითხებში. მნიშვნელოვანია ის, რომ მის მიერ ორგანიზებული შეფასების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი იქნა სურსათში გენოტოქსიკური თვისებების მქონე ტრანსიზომერული ცხიმების ზღვრული სიდიდეები და რაც მთავარია განხორციელდა სახელმწიფო კონტროლი. ასევე საყურადღებოა 2020 წელს მის მიერ მომზადებული „პოსტ პანდემიური პერიოდის რისკის შეფასების კონცეფციის“ დამტკიცება და მისი ავტორობით შემუშავებული რისკის შეფასების პროცესის სისტემური მიდგომის განმაპირობებელი „რისკის შეფასებისთვის ინიცირების პროცედურების“ დოკუმენტი.

ბატონი ზურაბი მრავალი წლის განმავლობაში მონაწილეობდა საქართველოს სურსათის უვნებლობის სისტემის განვითარებაში, როგორც სამეცნიერო ექსპერტი, კოორდინატორი და სტრატეგიული დოკუმენტების ავტორი. მისი საქმიანობა ემყარება მეცნიერებაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს, რისკზე ორიენტირებულ მიდგომებს და საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციას. იგი, როგორც დარგის კოორდინატორი, რომლის საქმიანობა მოიცავს: რისკის შეფასების ინიცირების პროცედურების განვითარებას, პრიორიტეტული საფრთხეების იდენტიფიკაციასა და რანჟირებას, ერთიანი ჯანმრთელობის (One Health) კონცეფციის სისტემურ ინტეგრაციას, მრავალდისციპლინური სამუშაო ჯგუფებისა და საკოორდინაციო პლატფორმების ჩამოყალიბებას, ასრულებს დამაკავშირებელ ფუნქციას: მეცნიერებასა და პოლიტიკის შემმუშავებელ სტრუქტურებს შორის, რისკის შეფასებასა და რისკის მართვას შორის, ეროვნულ სისტემასა და საერთაშორისო ორგანიზაციებს (FAO, WHO, Codex Alimentarius) შორის.

აკადემიკოს ზურაბ ცქიტიშვილის ხელმძღვანელობით განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა, მათ შორის: რისკის შეფასებისა და მართვის SOP-ების განვითარება; გარემოს, ცხოველისა და ადამიანის ჯანმრთელობის ინტეგრირებული ანალიზის კონცეპტუალური ჩარჩოების ჩამოყალიბება; მეცნიერებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები; გამჭვირვალე კომუნიკაცია საზოგადოებასთან; პრევენცია, როგორც სისტემური ინსტრუმენტი.

მისი საქმიანობა მიზნად ისახავს სურსათის უვნებლობის ეროვნული სისტემის მდგრად გაძლიერებას, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებას და საქართველოს საერთაშორისო პრაქტიკებთან თანხვედრაში განვითარებას.

აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი ამჟამადაც აგრძელებს ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში. მან ერთმანეთს შეუხამა რძის გადამმუშავებელი მრეწველობის ურთულესი ტექნოლოგიური და სამეცნიერო ამოცანების გადაწყვეტა, საფუძველი ჩაუყარა რისკის შეფასების სისტემას. გამოქვეყნებული აქვს 90 - მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 2 წიგნი, ბრძანდება 17 გამოგონების და 1 პატენტის ავტორი. იგი აქტიურად მონაწილეობს, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო კონფერენციებში, კონგრესებსა და სიმპოზიუმებში. დაჯილდოებულია „ღირსების ორდენით“.

ბატონ ზურაბ ცქიტიშვილს ჰყავს ორი შვილი, სამი შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი.

**ბატონო ზურაბ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სახელით გილოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღს, გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, ნაყოფიერ შემოქმედებით სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია**

# რას ცვლის ახალი საკანონმდებლო პაკეტი გრანტებსა და პოლიტიკურ საქმიანობაზე

(მეხუთე გვერდიდან)

ანალიტიკოსი **პეტრე მამრაძე** მიიჩნევს, რომ ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებები არა დემოკრატიის შეზღუდვა, არამედ სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის აუცილებელი მექანიზმია. მისი თქმით, ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყნისთვის მიუღებელია, როდესაც შიდა პოლიტიკურ პროცესებს გარე ფინანსური ნაკადები მართავს.

**„მოდით, რეალობას თვალი გავუსწოროთ: წლების განმავლობაში, საქართველოში ჩამოყალიბდა მანკიერი პრაქტიკა, როდესაც ე.წ. „გრანტების“ საფარქვეშ ხდებოდა პირდაპირი ჩარევა პოლიტიკურ დღის წესრიგში. ეს არ არის მხოლოდ გამჭვირვალობის საკითხი, ეს არის ეროვნული უსაფრთხოების საკითხი. როდესაც უცხოური დაფინანსება ხმარდება რადიკალიზმის გაღვივებას, რევოლუციურ მოწოდებებსა და სახელმწიფო ინსტიტუტების დესტაბილიზაციას, ხელისუფლება ვალდებულია, აამოქმედოს პრევენციული ზომები“**, – აცხადებს **მამრაძე.**

ანალიტიკოსი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ლობიზმისა და ფარული დაფინანსების გამიჯვნაზე:

**„ხშირად გვესმის პარალელები დასავლურ კანონმდებლობასთან. მთავარი პრინციპი აქაც იგივეა – პოლიტიკა უნდა იყოს მკაფიო და დეკლარირებული. თუ ვინმე ეწევა პოლიტიკურ საქმიანობას სხვისი დავალებითა და ფულით, ეს უნდა ვიცოდეთ. რაც შეეხება მკაცრ სანქციებს, ეს არის მკაფიო გზავნილი მათთვის, ვინც ფიქრობს, რომ „შავი ფულით“ საქართველოში ხელისუფლების შეცვლა ან არეულობის მოწყობა შესაძლებელია. სახელმწიფო არ არის სათამაშო და მისი კანონმდებლობა უნდა იყოს ადეკვატური იმ გამოწვევებისა, რაც დღეს გლობალურ პოლიტიკაში არსებობს. ეს არ არის ვიღაცის დევნა, ეს არის თამაშის წესების სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა“**, – აღნიშნავს **პეტრე მამრაძე.**

**ლიკა ბერიკაშვილი**



საქართველოს რესპუბლიკა

# სტალინმა მართლა კინაღამ აჩუქა საქართველოს ჩრდილოეთ ოსეთი?!



ვლადიკავკაზი მე-20 საუკუნის დასაწყისში

**1925 წლის 23 მაისს სტალინი სამხრეთ ოსეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური ოლქების პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკებს ესაუბრა. ამ შეხვედრის შთაბეჭდილებით მან იმავე დღეს (უმერენკოვი 23-ის ნაცვლად შეცდომით 25 მაისს უთითებს) შემდეგი შინაარსის შიფრტელეგრამა გაუგზავნა რკპ (ბ) ჩრდილოეთ კავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანს ანასტას მიქოიანს:**

**„1) ჩემთან იყვნენ ტოკოევი (რკპ (ბ) ჩრდილოეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს, ფორმალურად ჩრდილოეთ ოსეთის, როგორც ავტონომიური წარმონაქმნის, პირველ ხელმძღვანელს სიმონ ტაკოევს სტალინი რატომღაც ტოკოევად იხსენიებს – ა.ა.) და სხვა ოსები. საქმის ყურადღებით გაცნობამ დამარწმუნა, რომ შეიძლებოდა დათანხმება ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის გაერთიანებაზე საქართველოს შემადგენლობაში. საფუძველი არსებობს ვიფიქროთ, რომ ინგუშები წინააღმდეგი იქნებიან, რადგანაც ოსეთის ორი ნაწილის გაერთიანების გეგმამ შეიძლება გააადვილოს ოსთა ხელში ვლადიკავკაზის გადასვლა. ამიტომ ეს საქმე ყოველმხრივ უნდა ავწონ-დავწონოთ.**

**2) ვფიქრობ, შეიძლება ოსებისთვის ლესკენის მთლიანად გადაცემა, რის წინააღმდეგიც ყაბარდო არ არის, ლესკენის სამხრეთ ნაწილის წინააღმდეგობას კი**



ანასტას მიქოიანი, იოსებ სტალინი, სერგო ორჯონიკიძე

**შეგვიძლია ყურადღება არ მივაქციოთ.**

**3) ოსური გეგმა ოსეთისთვის მოზდოკის რაიონის მიერთების თაობაზე, ფანტასტიკური და ყოვლად მიუღებელია, რის შესახებაც ოსებს ვუთხარი.**

**ვფიქრობ, შეიძლებოდა ჭარბი ოსური მოსახლეობის ჩასახლება საფონდო მიწაზე, იმ ანგარიშით, რომ შემდეგ ოსური სოფლებისგან შეგვექმნა ეროვნული რაიონი როსტოვს დამორჩილებული აღმასკომით.**

**ამის თაობაზე გწერ პირადად ჩემი სახელით. მაცნობე სამხარეო კომიტეტის აზრი“.**

ამ წერილიდან სულაც არ „ირკვევა“, რომ სტალინს ოსეთის ოლქების საქართველოს შემადგენლობაში გაერთიანების საკითხი გადაწყვეტილი აქვს, უბრალოდ, მოსაზრებას გამოთქვამს, „შეიძლებოდა დათანხმებაო“. ოღონდ, იქვე ეჭვს გამოთქვამს, ინგუშები განაწყენდებიან, რადგან გაერთიანება ოსებს გაუადვილებს ვლადიკავკაზის მთლიანად ხელში ჩაგდებასო (ბოლოს მართლაც ასე მოხდა), ამიტომ „ეს საქმე ყოველმხრივ უნდა აეწონ-დაეწონათო“, თანაც ამ წერილს მიქოიანს წერს როგორც კერძო პირი („ჩემი სახელით“) და არა როგორც გენერალური მდივანი. აქვე თვალნათლივ იკვეთება სტალინის კეთილგანწყობა, მხარდაჭერა ოსთა მიმართ: გაერთიანების გარდა, ოსებისათვის ლესკენის მთლიანად გადაცემაზე, საფონდო მიწაზე ჭარბი ოსური მოსახლეობის ჩასახლებაზე, შემდეგ როსტოვს დამორჩილებული ეროვნული რაიონის შექმნაზე მზადყოფნა. ამას გარდა, თვალნათლივია ისიც, რომ სტალინი მაშინ ერთპიროვნულად არ წყვეტდა ასეთ სერიოზულ საკითხებს, სხვებსაც ეკითხებოდა აზრს და თუ მისაღები, გასაზიარებელი იყო, იზიარებდა კიდეც.

25 მაისს საკავშირო ცაკ-ის პრეზიდიუმის სხდომამ განიხილა საკითხი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთების და ამ ორი ოლქის ავტონომიურ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ“. დაადგინეს: „დაევალოს საკავშირო ცაკ-ის მდივანს ამხ. კისელევს ჩრდილოეთ კავკასიის სამხარეო აღმასკომსა და საქართველოს ცაკ-თან შეათანხმოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქთან შეერთებისა და ამ ორი ოლქის საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიურ რესპუბლიკად გარდაქმნის სკითხი“.

მალე (8 ივნისს) სტალინმა მიქოიანის პასუხი მიიღო.

მკითხველს ამ ვრცელ ტელეგრამას გავაცნობ იმ მოკლე ამონაწერის სახით, როგორც სტალინს მოუმზადა თანაშემწემ ლ. როშალმა 1925 წლის 18 ივნისს და რომელიც ნათლად გადმოსცემს საქმის არსს (მიქოიანის ტელეგრამას ზოგად შტრიხებში გვამცნობს უმერენკოვიც):

**„1) გაერთიანება, გეოგრაფიული მოუხერხებლობის მიუხედავად, მიზანშეწონილი იქნება.**

**2) გაერთიანებული ოსეთი უნდა შევიდეს (ალბათ ოლქად ჩრდილოეთ კავკასიის მხარეში – ლ. როშალი) რსფსრ-ს შემადგენლობაში და არა რესპუბლიკად საქართველოს შემადგენლობაში, რადგან მაშინ:**

**ა) საფრთხის წინაშე დადგება ჩამოყალიბებული ერთაშორისი ურთიერთობები ჩრდილოეთ კავკასიაში;**

**ბ) წინ წამოიწევს საკითხი მთიელთა ეროვნებებისა საერთოდ, მათი ამიერკავკასიისთვის გადაცემის ან ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკების ფედერაციის შექმნის თვალთახედვით.**

**3) გაერთიანებული ოსეთის რსფსრ-ს შემადგენლობაში შეყვანის შემთხვევაში ქალაქი ვლადიკავკაზი შეიძლება დარჩეს თავისუფალ ქალაქად რსფსრ-ს შემადგენლობაში და იყოს ოსეთისა და ინგუშეთის რეზიდენციად.**

**4) სამხრეო კომიტეტი ოსეთის შესახებ საკითხის დაჩქარებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს“.**

* * *

**მიქოიანის პასუხმა, როგორც ჩანს, შეარყია სტალინის ადრინდელი შეხედულება ამ საკითხის გადაწყვეტისადმი და როცა 28 ივნისს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანმა ორჯონიკიძემ მას ტელეგრამა გაუგზავნა: „ჩვენთან, ოსეთიდან ჩამოვიდნენ ტაკოევი და სხვა ამხანაგები საქართველოს ფარგლებში ოსეთის გაერთიანების საკითხზე, ირწმუნებოდნენ, რომ შენ თანხმობა მიეცი ამგვარ გაერთიანებაზე.**

დღეს მივიღეთ სსრკ ცაკ-ის ოფიციალური მოთხოვნა. გთხოვთ დირექტივებს“-ო. მეორე დღესვე, 29 ივნისს, ორჯონიკიძეს უპასუხა: „მე პირადად ოსების გეგმის წინააღმდეგი არ ვიყავი, მაგრამ სამხრეთ-აღმოსავლეთიდან (იგულისხმება რკპ (ბ) სამხრეთ-აღმოსავლეთის ბიურო. ა. მიქოიანი ადრე ამ ბიუროს ხელმძღვანელობდა, ამიტომ ტელეგრამაში ნახსენები „სამხრეთ-აღმოსავლეთი“ შეიძლება თავის დროზე ამ ორგანოს გამგებლობაში შემავალ რეგიონს ნიშნავდეს – **ა. ა.**) შემოსული საწინააღმდეგო აზრის გამო ძალზე



სიმონ ტაკოევი

ვყოყმანობ და ვერ გადამიწყვეტია რაიმე რჩევის მოცემა. ძალიან გთხოვ, პასუხი გადადე მიქოიანთან ჩვენ შეხვედრამდე“.

ი. სტალინის ამ ტელეგრამას თითქოს უნდა შეეჩერებინა „გაერთიანების მოძრაობა“, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. გაერთიანების იდეას „ბორბლები დაზეთილი“ ჰქონდა და ასე უცებ ვერ დამუხრუჭდებოდა.

1925 წლის 15 ივლისს საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიამ ამ საკითხზე მოისმინა ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის წარმომადგენლის სიმონ ტაკოევის მოხსენება და ერთხმად მოიწონა საქართველოს ფარგლებში ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიების გაერთიანების იდეა. მოვუსმინოთ ტაკოევს: „სამხრეთ ოსეთი“ ჩრდილოეთ ოსეთისგან გადაჭრით მოითხოვს, რომ გაერთიანება მოხდეს საქართველოს ფარგლებში“; **ჩრდილოეთ ოსეთი „სურვილს აცხადებს რსფსრ-ს ჩამოშორდეს და შევიდეს საქართველოს სსრ-ს შემადგენლობაში“;** „იქნებ ვინმემ იკითხოს, რატომ არის ორიენტაცია აღებული საქართველოზეო? იმიტომ, რომ ოსეთი არსებობდა და მხარდამხარ ვიდოდა საქართველოს რესპუბლიკასთან. ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის მშრომელნი, და მით უფრო, პასუხისმგებელი მუშაკები, თვალნათლივ ხედავენ, რომ საღი ეროვნული პოლიტიკა ისე მიზანშეწონილად არსად არ ხორციელდება, როგორც საქართველოს რესპუბლიკაში“; გარდა ამისა, **„სამხრეთ ოსეთი კატეგორიულად აყენებს საკითხს, რომ იგი მხოლოდ მაშინ გაუერთიანდება ჩრდილოეთ ოსეთს, უკეთუ ეს უკანასკნელი თანახმა იქნება საქართველოს შემადგენლობაში შესვლაზე“.**

ამავე სესიაზე ითქვა: „სამხრეთ ოსეთის მშრომელნი აცხადებენ, რომ მათ კულტურულ მოთხოვნილებად და სამეურნეო საჭიროებად საქართველოს რესპუბლიკა მთლად, სრულად და უცილობლად აკმყოფილებს. ამიტომ ისინი ცნობენ, რომ არავითარი საჭიროება არ არის და სრულიად უსარგებლოც იქნება რაიმე ახალი ექსპერიმენტის მოხდენა, ე. ი. საქართველოდან გამოყოფა. აშკარაა, რომ სამხრეთ ოსეთის ეს საღი ძახილი ყოველმხრივ ყურადღების ღირსია“.

იმავე წლის 7 აგვისტოს კი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა, საქართველოს ცაკ-ის წარდგინებით, განიხილა ორი ოსური ავტონომიის გაერთიანების საკითხი და დაადგინა, რომ წინააღმდეგი არ არის საქართველოს ცაკ-ის 15 ივლისის დადგენილებისა ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქების გაერთიანების შესახებ ერთ ავტონომიურ რესპუბლიკად.

აქვე გამოიკვეთა ამიერკავკასიის ცაკ-ის პრეზიდიუმის წევრის ამაიაკ ნაზარეთიანის ცალკე აზრი: „იმის გამო, რომ უახლოეს ხუთათ წელიწადში ეკონომიკური გაერთიანება შეუძლებელია საიმისოდ გზების უქონლობის გამო (ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის დამაკავშირებელი უღელტეხილი 9 თვით იკეტება), ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქების გაერთიანების საკითხის გადაჭრას ნაადრევად ვთვლი“.

ამრიგად, ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის გაერთიანების გზაზე სულ ცოტა ორი წინააღმდეგობა გამოიკვეთა: ერთი – „სამხრეთ-აღმოსავლეთისა“ (ა. მიქოიანი), რაც საფიქრებელია, იმაში მდგომარეობდა, რომ არ სურდათ (ვერ თმობდნენ) ჩრდილოეთ ოსეთის საქართველოს ფარგლებში გაერთიანება; მეორეა. ნაზარეთიანის პირით გაცხადებული სამიმოსვლო გზების უქონლობა, საუღელტეხილო მოძრაობის სეზონურობა, რომელმაც, უნდა ვივარაუდოთ, გარკვეული გავლენა იქონია გაერთიანების საკითხის უარყოფითად გადაწყვეტაზე. დიახ, ჩრდილოეთ ოსეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ გაერთიანებისთვის აუცილებელი იყო მუდმივმოქმედი დამაკავშირებელი გზების გაყვანა, რაც მომავალში უნდა გაკეთებულიყო (აკი ბოლოს მიაღწიეს კიდეც როკის გვირაბის გაყვანას).

**ალეკო ასლანიშვილი.**

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №9

გერმანულ გაზეთ **„ბილდში“ (Bild)** გამოქვეყნებულია სტატია სათაურით **„სამხედრო ისტორიკოსი გვაფრთხილებს: „ჩვენ რუსეთი ობიექტურად უნდა შევაფასოთ“** (ავტორი – **პაულ რონცჰაიმერი**), რომელშიც გადმოცემულია საუბრის შინაარსი ზენკე ნაიტცელთან, გერმანელ სამხედრო ისტორიკოსთან.

**გთავაზობთ პუბლიკაციას შემოკლებით:**




# რუსეთი ობიექტურად უნდა შევაფასოთ!!!



**ამჟამად ძალზე მნიშვნელოვანია კითხვა, რომელიც აღელვებს ევროპის ქვეყნების თავდაცვის ყველა მინისტრს, კონტინენტის ყველა გენერალს და ექსპერტს: შეუძლია თუ არა ევროპას რუსეთის თავდასხმის მოგერიება?**

მიუხედავად იმისა, რომ ვლადიმერ პუტინის ჯარების წინსვლა უკრაინაში ნელი ტემპით მიმდინარეობს და დიდ დანაკარგებს განიცდიან, ცნობილი გერმანელი ისტორიკოსი, პოტსდამის უნივერსიტეტის პროფესორი ზენკე ნაიტცელი გვაფრთხილებს, რომ სახიფათო შეცდომა არ დავუშვათ: რუსეთის გარკვეული სისუსტის მიუხედავად, სიფხიზლე არ უნდა მოვადუნოთ და რეალურად უნდა შევაფასოთ მოსკოვისაგან მომდინარე საფრთხე და მუქარები. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ევროპის და გერმანიის თავდაცვისუნარიანობა ჯერჯერობით არასახარბიელოა.

**„ჩემი პოზიცია უცვლელია: ჩვენ რუსული საფრთხე არ უნდა შევამციროთ და მას ჯეროვანი ყურადღება უნდა დავუთმოთ“**, – ამბობს **ზენკე ნაიტცელი**. მისი თქმით, თეზისი იმაზე, რომ რუსები უკრაინის გამო ნატოს არ დაუპირისპირდებიან, **„სრულიად არასწორია – იმიტომ, რომ ჩვენ, უბრალოდ, არ შეგვიძლია საომარ მოქმედებათა განვითარების პროგნოზირება. სიტუაცია იმდენად წინააღმდეგობრივია, რომ არავინ არ იცის, რა მოხდება ახლო მომავალში“.**

ზენკე ნაიტცელი გვაფრთხილებს „გაურკვეველ დინამიკაზე“ და განმარტავს: **„როგორც ისტორიკოსი, ვამბობ: მსგავსი სიტუაცები ადრეც იყო შექმნილი. იგივე შეიძლებოდა გვეთქვა 1917 წელს დიდ ბრიტანეთზე, და საფრანგეთზე, რომლებიც ჯეროვან წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ გერმანელებს. კაიზერის არმია ძლიერი იყო... მაგრამ არ გასულა ერთი წელი და გერმანელებმა და ავსტრიელებმა ომი წააგეს“.**

## „ორ ფრონტზე ადოლფ ჰიტლერის ვერმახტიც იბრძოდა...“

**სამხედრო სიტუაცია ნებისმიერ მომენტში შეიძლება კარდინალურად შეიცვალოს, მათ შორის საფრთხე ჩვენს მიმართაც.**

**უკრაინის კონფლიქტი შეიძლება მიმდინარე წელსაც კი დასრულდეს, მაგრამ როგორი სახით? ორივე მხარისთვის მისაღები დაზავებით თუ უკრაინის კრახით? ვის შეუძლია ამის წინასწარმეტყველება? სიტუაციის განვითარების პროგნოზირება სხვადასხვა მომენტში სხვადასხვანაირად შეიძლება, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, როგორი მომენტი დადგება“.**

ზენკე ნაიტცელი ასევე არ ეთანხმება იმ მტკიცებას, რომ რუსეთის ლიდერი ნატოზე თავდასხმას ან მასთან მწვავე დაპირისპირებას ვერ გაბედავს, სანამ მისი ჯარი უკრაინასთან ბრძოლით არ ის დაკავებული. მისი თქმით, უკრაინაში საომარი მოქმედებების მიუხედავად, არ არის გამორიცხული, რუსეთმა **„ლოკალური თავდასხმა“ განახორციელოს ბალტიისპირეთის სახელმწიფოებზე. პროფესორი ისტორიულ მოვლენებს ერთმანეთს ადარებს: „სხვათა შორის, ადოლფ ჰიტლერიც ბრძოლებს ორ ფრონტზე აწარმოებდა. რა თქმა უნდა, ეს არ იყო ლოგიკური გადაწყვეტილება, მაგრამ მან ასე გააკეთა“.**

## რამდენად შეიძლება რუსეთის თავდასხმა ნატოსა და ევროკავშირზე?

**მოდით, ასე დავსვათ კითხვა: როგორია ევროპისა და რუსეთის თავდაცვისუნარიანობა?**

2022 წლის თებერვალში ვლადიმერ პუტინმა ბრძანება გასცა უკრაინის წინააღმდეგ სრულმასშტაბიანი სამხედრო ოპერაციის დაწყებაზე და ამით ევროპაში ყველაზე დიდი კონფლიქტის მოწმენი გავხდით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1945 წლიდან. მას შემდეგ ევროპელებიც და რუსებიც თავიანთი სამხედრო პოტენციალის გამალებულ გაძლიერებას შეუდგნენ. გერმანიაში „გარდამტეხი მომენტი“ ისტორიულად უდიდეს გადაირაღებაში გამოიხატა, კრემლმა კი ქვეყანა „სამხედრო რელსებზე“ გადაიყვანა.

ზენკე ნაიტცელის თქმით, **„დღეს, 2026 წლის იანვარში, ნატოს წევრი ყველა ევროპული ქვეყნის საერთო სისუსტე, სამხედრო თვალსაზრისით, გამოიხატება იმაში, რომ ჯეროვან ანალოგებს ვერ უპირისპირებენ რუსულ უპილოტო აპარატებს (დრონებს). წარმოიდგინეთ, რომ რუსეთი – ისე, როგორც უკრაინას – ყოველდღიურად უტევს გერმანიას და პოლონეთს ასობით დრონით... ნატოს უდიდესი პრობლემა ექმნება“.**

## „ჩვენ დიდი დრო დავკარგეთ...“

**ამჟამად ბუნდესვერი არ ფლობს არც ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების საკმაო რაოდენობას და არც თვითონ დრონებს.**

**„ჩვენ ჩამოვრჩით. რუსები ყოველდღიურად იმდენ დრონს უშვებენ ჰაერში, რამდენიც გერმანიას აქვს მთლიანად. ამიტომ მთავრობამ ჩამორჩენა უნდა დასძლიოს“**, – ამბობს პროფესორი. სამხედრო ისტორიკოსის თქმით, **„რაც დრო გადის, ჩამორჩენა უფრო იზრდება... დავკარგეთ რამდენიმე წელი. გვეგონა, რომ ევროკავშირს და ნატოს უბედურება გვერდს აუვლიდა“.**

სამწუხაროდ, ბუნდესვერის პრობლემები მხოლოდ დრონების დეფიციტით არ შემოიფარგლება. გერმანიის შეიარაღებულ ძალებში არიან კარგად მომზადებული ოფიცრები და უნტერ-ოფიცრები, ასევე პილოტები. **„გერმანიის ჯარებს ბევრი რამ შეუძლიათ, მაგრამ 70 წლის განმავლობაში ბუნდესვერში გიგანტური ბიუროკრატია ჩამოყალიბდა“**, – ამბობს **ზენკე ნაიტცელი** და აკონკრეტებს: **„ჯარისკაცების 50%-ზე მეტი ძირითად ამოცანებს არ ასრულებენ“.**

## „აშშ-ის გარეშე მართლაც გაგვიჭირდება...“

**და მაინც, პროფესორის თქმით, 2027 წლის ბოლოსთვის ბუნდესვერი შესამჩნევად ძლიერი გახდება – მრავალმილიარდიანი პროექტების წყალობით შეიარაღების სფეროში.**

ეს ეხება სახმელეთო ჯარებს, სამხედრო-საჰაერო ძალებს, ასევე უპილოტო საფრენ აპარატებს და ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებს.

საკმარისია თუ არა ეს რუსეთის სავარაუდო თავდასხმის მოსაგერიებლად? თანაც ამერიკელების დახმარების გარეშე?

არ არის საკმარისი. მნიშვნელობა აქვს აშშ-ის ტექნოლოგიურ უპირატესობას. მხოლოდ ამერიკას შეუძლია კონფლიქტების მოგვარება ამ უპირატესობის გამოყენებით.

**„თვითონ განსაჯეთ: ნატოს ევროპელ წევრებს არასოდეს არ განუხორციელებიათ მსხვილი საჰაერო ოპერაციები მხოლოდ თვითონ. არც იუგოსლავიაში, არც ლიბიაში, არც ახლო აღმოსავლეთში... ოპერაციებს ყოველთვის ამერიკელები ხელმძღვანელობდნენ. აშშ-ის სადაზვერვო მონაცემებისა და რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებების გარეშე ევროპას საქმე ნამდვილად გაურთულდება“**, – აღნიშნავს პროფესორი **ზენკე ნაიტცელი.**



**მოამზადა სიმონ კილაძემ.**



## აიათოლა ალი ხამენეი: აშშ-მა უნდა იცოდეს, რომ თუ ის ახალ ომს დაიწყებს, ამჯერად ეს რეგიონული ომი იქნება

**აშშ-მა უნდა იცოდეს, რომ თუ ის ახალ ომს დაიწყებს, ამჯერად ეს რეგიონული ომი იქნება**, – ამის შესახებ ირანის სულიერმა ლიდერმა **აიათოლა ალი ხამენეიმ** განაცხადა.

ხამენეის თქმით, ირანის ისლამური რესპუბლიკა არცერთ ქვეყანაზე თავდასხმას არ დაიწყებს, თუმცა ირანელი ერი ძლიერ დარტყმას მიაყენებს ყველას, ვინც მას თავს დაესხმება.

**„არაფერია ახალი, რომ ისინი ხანდახან ომზე, თვითმფრინავებზე, გემებსა და ყველაფერზე საუბრობენ. წარსულში ამერიკელები არაერთხელ იმუქრებოდნენ და ამბობდნენ, რომ ყველა ვარიანტი განიხილება, მათ შორის ომის ვარიანტი. ირანელი ხალხი ამ საფრთხეების გავლენის ქვეშ არ მოექცევა“**, – აღნიშნა ირანის სულიერმა ლიდერმა.

## „დარტყმა“ აბორტებსა და გენდერულ სექტორზე!

**აშშ-ის წარმომადგენლობები შეამოწმებენ, რამდენად შეესაბამებიან დახმარების პროგრამები ახალ წესებს, რომლებიც აბორტებს, მრავალფეროვნებასა და გენდერულ თანასწორობას ეხება.**

**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა მსოფლიო მასშტაბით თავის მისიებს დაავალა გადახედონ დახმარების ყველა პროგრამას, რათა დარწმუნდნენ, რომ ისინი ახალ მკაცრ წესებს შეესაბამება, რომელთა მიხედვითაც იკრძალება ისეთი ჯგუფების დაფინანსება, რომლებიც ოჯახის დაგეგმვაზე, მრავალფეროვნების საკითხებზე ან „გენდერულ იდეოლოგიაზე“ მუშაობენ**, – ინფორმაციას Reuters-ი ავრცელებს.

სააგენტოს ცნობით, გასულ კვირას აშშ-ის პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის ადმინისტრაციამ ე.წ. მეხიკოს პოლიტიკა გააფართოვა. აღსანიშნავია, რომ ე.წ. მეხიკოს პოლიტიკა უცხოურ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც დაფინანსებას აშშ-გან იღებენ, უკრძალავს აბორტისა და ორსულობის ნაადრევად შეწყვეტის პროპაგანდის წარმოებას.

ახალი წესების მიხედვით, ე.წ. მეხიკოს პოლიტიკა კრძალავს ისეთი ჯგუფების დაფინანსებას, რომლებიც მრავალფეროვნების, თანასწორობისა და ინკლუზიურობის, გენდერული იდენტობისა და ტრანსგენდერების უფლებების საკითხებზე მუშაობენ. საუბარია დაახლოებით 30 მილიარდი დოლარის მოცულობის დახმარებაზე.

ჰუმანიტარულმა ორგანიზაციებმა აღნიშნული ნაბიჯი უკვე შეაფასეს, როგორც მორიგი დარტყმა სექტორზე, რომელიც ისედაც რთულ მდგომარეობაშია, და განვითარებად ქვეყნებში სამოქალაქო საზოგადოების ფაქტობრივი ჩახშობაა.

ახალი წესი 26 თებერვლიდან ამოქმედდება. ახალი გრანტების გაცემა და ხელშეკრულებების გაფორმება ახალ წესებზე დაყრდნობით მოხდება. შესწორებები შევა უკვე დადებულ ხელშეკრულებებშიც.



საქართველო, რესპუბლიკა

**გამოიცა XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი რუსი ფილოსოფოსის ნიკოლაი ლოსკის ფუნდამენტური ნაშრომის, „აბსოლუტური სიკეთის პირობების“ ქართული თარგმანი, რომელიც ცნობილმა ქართველმა ფილოსოფიის მკვლევარმა და მთარგმნელმა ვიქტორ რცხილაძემ მოამზადა.**

# «აბსოლუტური სიკეთის პირობები»

## XX საუკუნის რუსული ფილოსოფია და ჩვენი საერთო ფასეულობები

ამასთან დაკავშირებით, თბილისში გაიმართა საინტერესო დისკუსია – მრგვალი მაგიდა, რომელიც ნიკოლაი ლოსკის ამ ნაშრომის განხილვასა და, ზოგადად, XX საუკუნის რუსულ ფილოსოფიურ აზრს მიეძღვნა.

**გულბაათ რცხილაძე (პოლიტოლოგი):** „დასავლეთს ყოველთვის გამოსდის, გააპიაროს არც თუ ისე ხარისხიანი პროდუქტი, ამ შემთხვევაში, „პროდუქტი“ – გადატანითი მნიშვნელობით. ვგულისხმობ მე-20 საუკუნის, განსაკუთრებით, ომისშემდგომ დასავლურ ფილოსოფიას, რომელშიც, ჩაღრმავების შემდეგ, სიცარიელეს ვიგრძნობთ (გარკვეული გამონაკლისების გარდა). ყოველ შემთხვევაში, ადამიანი აქედან სულიერ სარგებელს ვერ მიიღებს და ვერც რაიმე ყოფითი დონის სიკეთეს. ეს იმიტომ, რომ დასავლური ფილოსოფია მოწყდა ღვთის ცნებას და გახდა სათავე იმ დოქტრინისა, რასაც დღეს ნეოლიბერალურ დოქტრინას ვეძახით. ნეოლიბერალური იდეოლოგია ცარიელ ადგილზე არ გაჩენილა, მისი წანამძღვრები არის XX საუკუნის დასავლურ ფილოსოფიაში, რომელიც, მე-18 საუკუნის ფრანგულ ე. წ. განმანათლებლობაზე მეტად იყო ანტირელიგიური. აქ მარტო რელიგიაზე და პიროვნულ რწმენაზე არ არის საუბარი: ზოგი თქვენგანი, შეიძლება, ნაკლებად რელიგიურია და არავის მოეთხოვება, რომ ყველამ დაინახოს ის, რაც არის ამ სამყაროს მიღმა; მაგრამ თითოეული ჩვენგანი ვჯერდებით გარკვეულ ფასეულობებზე და ვიცით, რომ მსოფლიოში არის ფასეულობების კრიზისი და მიდის დარტყმა ჩვენს ტრადიციებზე, ჩვენს სულიერ საფუძვლებსა და ერის ერთობაზე.

ახლა კი, უფრო კონკრეტულად: ჩვენ და რუსები ვართ ერთი ეკლესიის შვილები, გვაქვს ერთი ნათლობა და ზიარება; თუმცა, ამას მთლიანად ჩვენი ფასეულობების დამცველად, რწმენისა და ფასეულობებისა, რომლებიც, კოდიფიცირებული სახით, საზოგადოების ქცევის ნორმებში გადადის, გვევლინება XX საუკუნის რუსული ფილოსოფია, რომლის სახელოვანი წარმომადგენლები გახლდნენ ემიგრანტი რუსი მოაზროვნეები, მათ შორის ნიკოლაი ლოსკი.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მარქსიზმს, როგორც ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოძღვრებას, არ შევეხები, მაგრამ მარქსიზმი, როგორც ფილოსოფიური წარმოდგენა ყოფიერების შესახებ, ათეისტური იყო. შესაბამისად, საბჭოთა კავშირიც ათეისტური სახელმწიფო იყო. თუმცა, იოსებ სტალინის მეოხებით, ბევრი რამ თავის ადგილზე დადგა. შეიძლება ისე და იმგვარად არა, როგორც უნდა ყოფილიყო და გვინდა, მაგრამ სტალინმა დიდწილად იხსნა ეკლესია პრობლემებისგან. მე ამ პრობლემას იმიტომ ვეხები, რომ გავიგოთ, რატომ ჰქონდათ ემიგრანტ რუს ფილოსოფოსებს თავიანთი კრიტიკული ხედვა საბჭოთა კავშირის, კომუნისტური სისტემის მიმართ. ჩვენ ამ ფილოსოფოსების, კერძოდ კი, ნიკოლაი ლოსკის პოლიტიკური შეხედულებებისგან დამოუკიდებლად, შეგვიძლია, ჩავუღრმავდეთ მის ნაშრომებს და მივიღებთ დიდად სასარგებლო ცოდნას.




ჩემი აზრით, მთავარი, რაც მოახერხა ლოსკიმ, არის ის, რომ მან, ფილოსოფიურად და, ამავე დროს, სოციოლოგიურად, გააბათილა XIX-XX საუკუნეების სოციოლოგიაში არსებული მოდა, რომ მორალი და მორალური კატეგორიები განხილულ იქნას, როგორც სოციალური მოვლენა. ლოსკიმ დაამტკიცა, რომ მორალი, სიკეთე, ვერ იქნება ცალკე ახსნილი, ვერ იქნება რელიგიის კონტექსტიდან ამოვარდნილი და, მით უმეტეს, ვერ იქნება ბიოლოგიური მოვლენა, ადამიანის ორგანიზმში რაიმე ნივთიერების მოცულობაზე დამოკიდებული ან ტვინში ელექტრონების რაღაც თამაშის შედეგი...

**გიგა ქურციკიძე (პოლიტოლოგი):** „ბატონ ვიქტორ რცხილაძის თარგმანები, მათ შორის, ლოსკის აქამდე უკვე ნათარგმნი ნაშრომები, მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენაა და ძალიან დასაფასებელია. გარდა თარგმანებისა, აღმაფრთოვანებელია, რომ ბ-ნი ვიქტორის ორიგინალური ნაშრომები პირდაპირ იდეური ბრძოლისკენ გიბიძგებს. რაც შეეხება განსახილველ საკითხს, მინდა, ერთი თვისება აღვნიშნო რუსული ემიგრაციისა და ვთქვა, თუ რა განასხვავებს რუსულ ემიგრაციას ქართული ინტელექტუალური ემიგრაციისგან. რუსული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლები ცდილობენ, გაიგონ საბჭოთა კავშირის არსი. არა უბრალოდ გათათხონ საბჭოთა კავშირი, არამედ, ცივილიზაციურ საფუძვლებზე შეისწავლონ იგი. მათი ინტელექტუალური კეთილსინდისიერება მაღალ დონეზე იდგა. ამით განსხვავდებიან რუსი ემიგრანტები ჩვენი ემიგრანტებისგან, რომლებიც ძირითადად რევანშისტული განცხადებებით შემოიფარგლებოდნენ და საბჭოთა კავშირს მიიჩნევდნენ რაღაც ისტორიიდან ამოვარდნილ, ანომალიად“.

**გიორგი ხარიბეგაშვილი (პოლიტოლოგი):** მეც განვაგრძობ ამ აზრს და გავიხსენებ რუსი ინტელექტუალების „პრაღის ლინგვისტურ წრეს“ – სავიცკი, ტრუბეცკოი და სხვები... ფაქტობრივად, ევრაზიული სკოლა. თავდაპირველი ანტისაბჭოთა განწყობიდან ისინი თანდათან გადავიდნენ პროსაბჭოთა პოზიციებზე. ჩვენს შემთხვევაში დღეს რა ჭირიც ჭირს საქართველოს, არის არა რაიმე კოსმოპოლიტიზმი, არამედ პატრიოტიზმის ლიბერალური გაგება, რომელიც დაეყრდნო ნოე ჟორდანიას გარშემო მყოფი ვითომ ინტელექტუალების მხრიდან რუსეთის და რუსების ლანძღვას. ვთქვათ ისიც, რაც იყო ორი წლის წინ: ქუჩაში გამოფენილი აკაცუკები, ხომ არ ამბობდნენ, რომ საქართველო არ უყვართ, გამოდიოდნენ მკერდში მჯიღის ცემით. მაგრამ ეს იყო არა პოზიტიური პატრიოტიზმი, არა ის, რომ საქართველო უყვართ, არამედ ის, რომ რუსეთი, რუსები სძულთ. სწორედ იმ ემიგრანტულ ნარატივებს დაეყრდნო თანამედროვე პატრიოტიზმის ლიბერალური გაგება საქართველოში და ესაა ჩვენი პრობლემა. რუსული ემიგრანტული და ზოგადად, რუსული რელიგიური ფილოსოფია იმით არის საინტერესო, რომ ვიღაცის ან რაღაცის სიძულვილზე არ აგებს რუსულ პატრიოტიზმს ან ზოგადად, მორალს და სწორედ ამით არის მიმზიდველი“.

წმ. ექვთიმეს და გიორგი მთაწმინდელის ტაძრის მოძღვარმა, პედაგოგმა **ნოე გუგუციძემ** აღნიშნა რუსული ემიგრაციული ფილოსოფიური სკოლის წარმომადგენლების მიერ გამოვლენილი პატრიოტიზმი, მათ შორის, დიდი სამამულო ომის დროს. მამა ნოემ ხაზი გაუსვა რუსეთის ტერიტორიაზე მოქმედი მართლმადიდებელი ეკლესიისა და საზღვარგარეთ მოქმედი მართლმადიდებელი ეკლესიის გაერთიანების დიდ, პოზიტიურ მნიშვნელობას, რაც რუსეთის დღევანდელი საერო ხელისუფლების დამსახურებაცაა.

ნიკოლაი ლოსკის ნაშრომსა და მისი ქართული თარგმანის გამოჩენას მიესალმნენ მრგვალი მაგიდის მონაწილეები. ჟურნალისტ ზაზა დავითაიას თქმით, მადლობა ეკუთვნის ნიკოლაი ლოსკის ამ უდიდესი ნაშრომის ქართულად მთარგმნელს ვიქტორ რცხილაძეს. მე, როგორც სააკაშვილის დროის პოლიტპატიმარი, ვისურვებდი, რომ ასეთი წიგნი მაშინ, ციხეში მქონოდა“...

ნოველისტი, რეჟისორი მერაბ ჩხაიძე გამოეხმაურა ქართული და რუსული ემიგრაციის ურთიერთშედარებას და აღნიშნა: „მე არ მჯერა ნოე ჟორდანიას სიღრმისეული მიდგომის, მას ვერ შევადარებ იმ რუსული ფილოსოფიური ოცეულის დონეს, რომელთა შორის იყო ნიკოლაი ლოსკი და, სხვათა შორის, კიდევ, ალექსეი ლოსევი“. მანვე ჩამოაყალიბა რუსული ემიგრაციული ფილოსოფიური სკოლის დანატოვრის მნიშვნელობა დღევანდელობისთვის და ჩვენი საერთო ფასეულობების დაცვის აუცილებლობა, რომელშიც ცენტრალური ადგილი ისევ და ისევ რუსეთს მიუძღვის.

**გიორგი მუხაძე**



# ფოთისა და ბაქოს ნავსადგურებს შორის ტრანზიტი შემცირდა!

**ფოთისა და ბაქოს ნავსადგურებს შორის სპეციალური ბლოკ-მატარებელი დაინიშნა, რაც ორ პორტს შორის ტვირთის ტრანზიტის დროს მნიშვნელოვნად შეამცირებს. პირველი ბლოკმატარებლის ფოთის ტერმინალში შემოსვლასთან დაკავშირებით საზეიმო ღონისძიება გაიმართა, რომელსაც საქართველოსა და აზერბაიჯანის რკინიგზების ხელმძღვანელები დაესწრნენ.**

საქართველოს რკინიგზის ინფორმაციით, ორ ნავსადგურს შორის ბლოკ-მატარებელი რეგულარული გრაფიკით იმოძრავებს და დადებით გავლენას მოახდენს კონტეინერების გადაზიდვის პროცესის გამარტივებასა და სატრანზიტო დროის შემცირებაში. კერძოდ, უზრუნველყოფს ფოთიდან ბაქოში მიმავალი და უკან ცარიელი კონტეინერების რკინიგზით ტრანსპორტირებას, რაც არა მხოლოდ განტვირთავს სახმელეთო მაგისტრალებს, ასევე ნაკლებ ზიანს მიაყენებს გარემოს. აღნიშნული ინიციატივა ხელს შეუწყობს „შუა დერეფანში“ საკონტეინერო ტვირთების უსაფრთხო და ეფექტურ გადაზიდვებს, რაც მარშრუტს უფრო მიმზიდველსა და მოთხოვნადს გახდის.

**„ბლოკმატარებლების მოძრაობის გრაფიკისა და ტარიფების განსაზღვრით ტვირთმფლობელებს წინასწარ ეცოდინებათ მათი კონტეინერის ფოთში ჩასვლისა და უკან დაბრუნების დრო. აღნიშნული სიახლე საქართველოს რკინიგზისთვის ფინანსურადაც მომგებიანი იქნება და მეტ შემოსავალს მოუტანს კომპანიას“,** – განმარტა საქართველოს რკინიგზის გენერალურმა დირექტორმა, **ლაშა აბაშიძემ.**

**ბლოკ-მატარებლის ზუსტი მარშრუტია: ბათუმი-ფოთი-თბილისი-აპშერონი-სუმგაიტი-ალიატი. საქართველო და აზერბაიჯანი ტვირთმფლობელებს გამარტივებულ სერვისს – „ტერმინალიდან კარამდე“ სთავაზობენ.**

# საქართველო ITB CHINA 2026-ის ტურისტულ გამოფენაზე პარტნიორი ქვეყნის სტატუსით წარდგება

**წელს საქართველო ჩინეთში, შანხაიში, აზიაში ერთ-ერთი უდიდესი ტურისტული გამოფენის ITB China-ს პარტნიორი ქვეყანა იქნება. პარტნიორობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის ოფიციალური ცერემონია თბილისში გაიმართა. ღონისძიებას ITB China-ს ოფიციალური პირები, საელჩოებისა და ქართული ტურისტული კომპანიების წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.**

გამოფენა ITB CHINA 2026 შანხაიში, 26-28 მაისს გაიმართება. პარტნიორი ქვეყნის სტატუსი საქართველოს მაღალ ხილვადობასა და სხვადასხვა სახის აქტივობებს გულისხმობს.

ITB CHINA 2026-ზე საქართველოს საგამოფენო სივრცის ექსკლუზიური ბრენდინგის საშუალება ექნება, საიმიჯო ლოგო გამოფენის ოფიციალურ ვებ გვერდსა და ყველა ოფიციალურ ციფრულ და ბეჭდურ გამოცემაში განთავსდება. საქართველოს საპრომოციო სტენდს 400 კვადრატული მეტრი დაეთმობა, სადაც კულტურული წარმოდგენები, გასტრონომიისა და ღვინის მასტერკლასები და დეგუსტაციები გაიმართება. გამოფენაზე 70-მდე ქართული კომპანია მიიღებს მონაწილეობას, გაიმართება პრეზენტაციები და სამუშაო შეხვედრები. ITB CHINA 2026-ზე საქართველოს პარტნიორი ქვეყნის სტატუსით წარდგენა ჩინეთსა და აზიის ქვეყნებში ქვეყნის ცნობადობის ამაღლებასა და ტურისტული ნაკადების მოზიდვას შეუწყობს ხელს. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს, ITB CHINA 2025 გამოფენას ჯამში 21,000-მდე ვიზიტორი, 1,400-ზე მეტი ბაიერი და 85 ქვეყნიდან 700 მონაწილე ესწრებოდა.




# 200.000 ევრო – რეჟისორ სანდრო კობერიძეს

**ქართველ რეჟისორს სანდრო კობერიძეს გერმანიის ერთ-ერთმა უმნიშვნელოვანესმა ფონდმა „Medienboard Berlin-Brandenburg“-მა ახალი სრულმეტრაჟიანი ფილმის პროექტი 200.000 ევროთი დაუფინანსა.**

ინფორმაციას საქართველის კინოინსტიტუტი ავრცელებს:

**სასიხარულო სიახლე! გერმანიის ერთ-ერთმა უმნიშვნელოვანესმა ფონდმა „Medienboard Berlin-Brandenburg~, სანდრო კობერიძის ახალი სრულმეტრაჟიანი ფილმის პროექტი 200 000 ევროთი დააფინანსა. სანდრო კობერიძის რიგით მეოთხე სრულმეტრაჟიანი ფილმი გერმანულ-ფრანგული პროდუქციაა.**

**შეგახსენებთ, რომ დღეს ქართველი კინემატოგრაფისტების დიდი უმრავლესობა სამთავრობო დაფინანსების ინსტიტუციებთან ბოიკოტში იმყოფება. მიუხედავად ამისა, ქართული კინოს მაჯისცემა ჯერ კიდევ ცოცხალია – იქმნება სურათები, რომლებიც საერთაშორისო კინოსცენის ყურადღებას ჯერ კიდევ იპყრობს. სანდრო კობერიძის ბოლო ფილმის „ხმელი ფოთოლი“ პრემიერა სწორედ წელს გაიმართა ლოკარნოს კინოფესტივალზე, სადაც ნამუშევარმა ჟიურის სპეციალური აღნიშვნა დაიმსახურა. საქართველოს კინოინსტიტუტი ულოცავს სანდრო კობერიძეს და წარმატებებს უსურვებს მას!“**




# მსოფლიო თასი თბილისში დარჩა

**საქართველოს სახელით მოასპარეზე მოფარიკავე ალექსანდრა კუვაევა ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს თასის გამარჯვებულია.**

თბილისში მიმდინარე ტურნირის ფინალში მან რუმინელ მეტოქეს ანგარიშით 15:11 სძლია და ოქროს მედალს დაეუფლა.




# რჩეულთა შორის რჩეულნი

**„რესპუბლიკა ივენთჰოლში“ გაიმართა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ყოველწლიური დაჯილდოების ცერემონია, სადაც ასამდე სპორტული ჟურნალისტის გამოკითხვის შედეგად 2025 წლის საუკეთესო სპორტსმენები გამოავლინეს.**

ღონისძიებას ესწრებოდნენ სეოკ-ის ხელმძღვანელები – პრეზიდენტი **ლერი ხაბელოვი,** პირველი ვიცე-პრეზიდენტი **ელგუჯა ბერიშვილი,** ვიცე-პრეზიდენტები – **ნინო სალუქვაძე** და **ანზორ ჩუბინიძე,** გენერალური მდივანი **ემზარ ზენაიშვილი**.

ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა მისასალმებელი სიტყვით გამოსვლისას ისაუბრა განვლილ წარმატებულ სპორტულ სეზონზე, მოახლოებულ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე და აღნიშნა სპორტული მედიის განსაკუთრებული როლი ქართული სპორტის განვითარების საქმეში.

გამარჯვებულები გამოვლინდნენ შემდეგ ნომინაციებში:

„საუკეთესო სპორტსმენი მამაკაცი“ – **ხვიჩა კვარაცხელია;**

„საუკეთესო სპორტსმენი ქალი“ – **ეთერ ლიპარტელიანი;**

„საუკეთესო პარასპორტსმენი კაცი“ – **გიორგი ქალდანი;**

„საუკეთესო პარასპორტსმენი ქალი“ – **ნინა თიბილაშვილი;**

„საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენი“ – **ვახტანგ ლოლუა;**

„საუკეთესო გუნდი“ – **ძიუდოს ნაკრები;**

„საუკეთესო მწვრთნელი“ – **ლაშა გუჯეჯიანი**.

დაჯილდოებაზე სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის აღმასკომმა 2025 წლის საუკეთესო ფედერაციად ძიუდოს ფედერაცია დაასახელა, 2025 წლის საუკეთესო პარტნიორის პრიზით კი დაჯილდოვდა საქართველოს სპორტის სამინისტრო.

ღონისძიებაზე სპეციალური პრიზით – „პერსპექტივა“ დაჯილდოვდა საქართველოს სროლის ეროვნული ფედერაცია, რაც 2025 წელს ახალგაზრდებში მოპოვებულ გამორჩეულ წარმატებებს ემყარება. პრიზი გადაეცა საქართველოს სროლის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს, ლეგენდარულ ტყვიის მსროლელს ნინო სალუქვაძეს.

სპორტის გაშუქების პოპულარიზაციისთვის ჯილდო გადაეცათ ტელევიზიებს: საქართველოს პირველ არხს, სეტანტას და სილქნეტს.

# ველით მედალს!

**რამდენიმე დღეც და იტალიურ მილანსა და კორტინა დამპეცოში ზამთრის ოლიმპიადის ცეცხლი აგიზგიზდება, სადაც საქართველოს 8-წევრიანი დელეგაცია ფიგურისტთა ამასწინანდელი ევროტრიუმფის შემდეგ ისტორიული პირველი მედლის მოპოვების ამბიციით მიემგზავრება.**

ტრადიციისამებრ, გაცილების საზეიმო ცერემონიალი ეროვნული ოლიმპიურ კომიტეტში გაიმართა, სადაც გადაწყდა, რომ აპენინებზე ჯვაროსანთა მედროშეები ყველაზე წარმატებული დისციპლინის წარმომადგენლები **ლუკა ბერულავა** და **დიანა დევისი** იქნებიან.

დავძენთ, რომ ჩვენი სამთო-მოთხილამურე **ნინო წიკლაური** მეხუთედ იასპარეზებს თეთრ თამაშებზე.


ნინო წიკლაური

# სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი

**ტრავმებით გატანჯული საქართველოს ფუტსალის ეროვნული ნაკრების ერთადერთი ნათელი წერტილი ჯერაც მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე მეკარე ალი ასლანი გახლდათ, რომელმაც მომავალ ნახევარფინალისტებთან – ხორვატეთთან და საფრანგეთთან 54 დარტყმა მოიგერია (შესაბამისად 33(!) და 21).**

ვითვალისწინებთ რა ჯვაროსანთა მრავალრიცხოვან ქომაგთა ინტერესს, უფრო ახლოს წარმოგიდგენთ გრანდებთან გადატანილ მძაფრ ბრძოლებში **ავთანდილ ასათიანის** გაწვრთნილი გუნდის გაჭირვების ტალკვესს, საამისოდ კი, სავსებით გასაგები მიზეზების გამო, მისი ფესვების შეწუხება მოგვიწევს.



როგორც მოგეხსენებათ, ისტორიულმა ბედუკუღმართობამ და ირანის ავადსახსენებელი შაჰის აბასის სისხლისმსმელმა პოლიტიკამ დაახლოებით 100 ათასამდე ქართველი სამშობლოს მოწყვიტა, მათი ნაწილი კი ფერეიდანში დამკვიდრდა, სადაც დედა ენა შეინარჩუნა, ტრადიციებისა და ადათ-წესების ერთგულებით გამორჩეულ ჩვენ ირანელ თანამემამულეებს კი, ბუნებრივია, მოჭარბებული სისხლის ყივილი ახასიათებთ.

მოკლედ, ალი ასლანი 7 წლის წინათ ჩამოვიდა საქართველოში და გამართულად საუბრობს მშობლიურ ენაზე, მისი მეუღლე კი ირანელია, ოღონდ – არა ფერეიდნელი.

დავძენთ, რომ იმავე პროვინციაში ცხოვრობს ალის ბაბუა, ხოლო მშობლები – დედაქალაქ თეირანში.

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია და საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 72 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ფალავანი, კლასიკურ ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონი, მსოფლიოს თასის მფლობელი, მსოფლიო უნივერსიადის 3-გზის ჩემპიონი, სსრ კავშირის 4-გზის ჩემპიონი და 3-გზის ფინალისტი, სპორტის რაინდი**



## მიხეილ სალაძე

**და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**

# ყველაფერი დაზუსტდა

**უეფამ ჩემპიონთა ლიგის პლეი-ოფის (1/16-ფინალის) წილისყრის შემდეგ მატჩების ჩატარების თარიღებიც დაადგინა.**

ტრადიციულად, 8 მატჩი ორ დღეზე გაიყო – ოთხი ერთ დღეს იქნება, ოთხი მეორე დღეს. ჩემპიონთა ლიგის პლეი-ოფის კალენდარი ასეთია:

**პირველი მატჩები: 17 თებერვალი (სამშაბათი)**

გალათასარაი – იუვენტუსი (21:45 საათი), მონაკო – პსჟ (23:55 საათი), დორტმუნდი – ატალანტა (23:55), ბენფიკა – რეალი (23:55).

**18 თებერვალი (ოთხშაბათი)**

ყარაბაღი – ნიუკასლი (21:45 საათი), ბრიუგე – ატლეტიკო (23:55 საათი), ბოდო გლიმტი – ინტერი (23:55), ოლიმპიაკოსი – ლევერკუზენი (23:55).

**საპასუხო მატჩები: 24 თებერვალი (სამშაბათი)**

ატლეტიკო – ბრიუგე (21:45 საათი), ლევერკუზენი – ოლიმპიაკოსი (23:55), ინტერი – ბოდო გლიმტი (23:55), ნიუკასლი – ყარაბაღი (23:55).

**25 თებერვალი (ოთხშაბათი)**

ატალანტა – დორტმუნდი (21:45 საათი), იუვენტუსი – გალათასარაი (23:55), პსჟ – მონაკო (23:55), რეალი – ბენფიკა (23:55), „ბენფიკა“ (პორტუგალია) -– „რეალი“ (ესპანეთი).




მოგებული მერვედფინალში „სპორტინგს“ ან „მანჩესტერ სიტის“ შეხვდება „ბოდო გლიმტი“ (ნორვეგია) – „ინტერი“ (იტალია).

მოგებული მერვედფინალში „სპორტინგს“ ან „მანჩესტერ სიტის“ შეხვდება „მონაკო“ (საფრანგეთი) – „პარი სენ-ჟერმენი“ (საფრანგეთი).

მოგებული მერვედფინალში „ჩელსის“ ან „ბარსელონას“ შეხვდება. „ყარაბაღი“ (აზერბაიჯანი) – „ნიუკასლი“ (ინგლისი).

მოგებული მერვედფინალში „ჩელსის“ ან „ბარსელონას“ შეხვდება „გალათასარი“ (თურქეთი) – „იუვენტუსი“ (იტალია).

მოგებული მერვედფინალში „ტოტენჰემს“ ან „ლივერპულს“ შეხვდება „ბრიუგე“ (ბელგია) – „ატლეტიკო“ (ესპანეთი).

მოგებული მერვედფინალში „ტოტენჰემს“ ან „ლივერპულს“ შეხვდება „დორტმუნდი“ (გერმანია) – „ატალანტა“ (იტალია).

მოგებული მერვედფინალში „არსენალს“ ან „ბაიერნს“ შეხვდება „ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი) – „ლევერკუზენი“ (გერმანია).

მოგებული მერვედფინალში „არსენალს“ ან „ბაიერნს“ შეხვდება.

მოგეხსენებათ, რომ ფაზის ეტაპზე 8 საუკეთესო შედეგის მქონე გუნდი მერვედფინალში პირდაპირ გავიდა. ესენი არიან: არსენალი, ბაიერნი, ლივერპული, ტოტენჰემი, ბარსელონა, ჩელსი, სპორტინგი და მანჩესტერ სიტი.

**გიორგი მამარდაშვილის** „ლივერპული“ მერვედფინალში პირდაპირ გავიდა და მისი მეტოქე მოგვიანებით გაირკვევა, მაგრამ ცნობილია, რომ ამ ვარიანტებიდან ერთ-ერთი იქნება: „ატლეტიკო“, „გალათასარაი“, „იუვენტუსი“ ან „ბრიუგე“. **გიორგი ქოჩორაშვილის** „სპორტინგიც“ მერვედფინალშია, ხოლო მისი სავარაუდო მეტოქეების ჩამონათვალი ასეთია: „ინტერი“, „ბოდო გლიმტი“, „რეალი“ ან „ბენფიკა“. მერვედფინალის წილისყრა 27 თებერვალს გაიმართება.

**ჩემპიონთა ლიგის პლეი-ოფის (1/16-ფინალის) პირველი მატჩები 17-18 თებერვალს, ხოლო საპასუხო შეხვედრები 24-25 თებერვალს გაიმართება. თავის მხრივ, მერვედფინალები 10-11 და 17-18 მარტსაა დაგეგმილი, მეოთხედფინალები 7-8 და 14-15 აპრილს, ნახევარფინალები 28-29 აპრილს და 5-6 მაისს, ხოლო ჩემპიონთა ლიგის ფინალი 30 მაისს, ბუდაპეშტში გაიმართება.**

### გერმანული მედიის ცნობით, დავით კეზერაშვილის ახლო გარემოცვის წევრს მიხეილ ბინიაშვილს ქოლცენტრების საქმეზე ბრალი ოფიციალურად წარედგინა — ზარალი 230 მილიონ ევროს აჭარბებს



# დაგენაცვლე, კეზერას „ძმობილო“, ეს რა ცოტა თანხაა!!!



**გერმანიის ხელისუფლებამ ოფიციალურად წაუყენა ბრალდება ისრაელისა და საქართველოს მოქალაქეობის მქონე მიხეილ ბინიაშვილს, რომელიც ეჭვმიტანილია საერთაშორისო კიბერთაღლითური ქსელის, "მილტონის ჯგუფის" საქმეში, ამავე ქსელში შედიოდა ალბანეთის თავდაცვის მინისტრის ყოფილი მრჩეველი ამანთ იოსიფი, რომლის მიმართ საერთაშორისო ძებნაა გამოცხადებული,** — ინფორმაციას ალბანური და გერმანული მედია ავრცელებს.

**პრესა წერს, რომ მხოლოდ გერმანულენოვან ქვეყნებში თაღლითურმა ქსელმა ქოლცენტრების მეშვეობით 1000-ზე მეტ მოქალაქეს 230 მილიონ ევროს ოდენობით ზარალი მიაყენა.**

**ბამბერგის გენერალური პროკურატურის და ბავარიის კიბერდანაშაულის ცენტრის ცნობით, მიხეილ ბინიაშვილი, ასევე ცნობილი როგორც „მიშკა“, ხელმძღვანელობდა ქსელს, რომელიც მოქმედებდა ალბანეთში, საქართველოში, ჩრდილოეთ მაკედონიასა და უკრაინაში ქოლცენტრების მეშვეობით და ევროპის მოქალაქეებს ყალბ საინვესტიციო პლატფორმებს სთავაზობდა.**

**გამოძიებით დადგინდა, რომ ბინიაშვილი მხოლოდ ტირანაში დაახლოებით 600 თანამშრომლით დაკომპლექტებულ ქოლცენტრს მართავდა, რომელიც მინიმუმ 28 თაღლითურ პლატფორმას აერთიანებდა და გერმანიაში, ავსტრიასა და შვეიცარიაში ასობით მოქალაქეს ფინანსურ ზიანს აყენებდა.**

**მას ასევე ბრალი ედება PumaTS-ის სახელწოდების პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებაში, რომელსაც ინტერნეტში 400-ზე მეტი თაღლითური ფინანსური ვებსაიტი იყენებდა.**

# ეკა ბესელიას შვილი რატი მილორავა დააკავეს

**პოლიტიკური პარტია „სამართლიანობისთვის“ ლიდერის ეკა ბესელიას შვილი რატი მილორავა დააკავეს.**

გავრცელებული ინფორმაციით, **მილორავა არაფხიზელ მდგომარეობაში ჯერ პოლიციას არ დაემორჩილა, ხოლო შემდეგ ავტომანქანას დაეჯახა, როდესაც შემთხვევის ადგილიდან მიმალვას ცდილობდა.**

როგორც „კვირას“ შს სამინისტროში განუცხადეს, მილორავას დაკავება ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით მოხდა, რაც პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას გულისხმობს.



# გაკოჭილია 3 პირი, ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღი



**შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით, სამი პირი: 1979 წელს დაბადებული ზ.ჯ., 1993 წელს დაბადებული ს.ხ. და 1968 წელს დაბადებული ნ.ა. სხვადასხვა დროს დააკავეს.**

**შსს-ს ცნობით, სამართალდამცველებმა დაკავებულების საცხოვრებელი სახლებისა და დამხმარე სათავსოების ჩხრეკისას, ორი ცეცხლსასროლი იარაღი, რევოლვერი, 38 ვაზნა, მჭიდი და მცირეკალიბრიანი შაშხანა ნივთმტკიცებად ამოიღეს. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლს მე-3 ნაწილით მიმდინარეობს, რაც 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს,** — წერია ინფორმაციაში.

## განზრახ მკვლელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

**შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა განზრახ მკვლელობის ბრალდებით 1990 წელს დაბადებული გ.გ. დააკავეს,** — ინფორმაციას შსს ავრცელებს.

უწყების ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა თბილისში, 1971 წელს დაბადებულ ვ.ლ.-ს, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ბლაგვი საგნის გამოყენებით სასიკვდილო დაზიანებები მიაყენა. სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მკვლელობაში ბრალდებული გ.გ. მომხდარიდან მალევე დააკავეს.

სანთელი

# ...როცა ალალი ცრემლის ღირსი ხარ



## მიხეილ გიორგის ძე სალაძის ხსოვნას

**ბევრი ისე მოდის ამქვეყნად და ისე მიდის, მარტო ოჯახის წევრები თუ აცილებენ ცრემლით. ამ ადამიანთაგან განსხვავებით, არიან ალალი ცრემლის ღირსნიც, ვის სიკვდილსაც მთელი საზოგადოება იგებს და დამწუხრებულ ოჯახის წევრებს გვერდში უდგანან. თავიანთ ცრემლებს ერთ დიდ სიყვარულად აგროვებენ და სამუდამო ხსოვნის სამარედ იტოვებენ თავიანთ გულებში.**

**სწორედ ასეთ ადამიანთა არცთუ დიდ რიცხვს მიეკუთვნება მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (ბერძნულ-რომაულ) ჭიდაობაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალ-მაიორი მიხეილ სალაძე, რომელიც სიცოცხლის ბოლო წუთამდე უანგაროდ ემსახურა თავის ქვეყანას, რომელიც გამორჩეულად უყვარდა. მიშას მოულოდნელმა გარდაცვალებამ თავზარი დაგვცა მის მეგობრებს და თაყვანისმცემლებს, რომელიც ასე გამორჩეულად გვიყვარდა ყველას.**

**ძნელი, ძალიან ძნელი იქნება ჩვენთვის აწი მიშას გარეშე!!! მიშამ დატოვა ღირსეული მეუღლე, შვილები, სიძეები და შვილიშვილები.**

**ნათელში იყოს შენი ამაყი სული, ჩვენო ერთგულო, გამორჩეულო საყვარელო ძმაო მიხეილ!!!**

თენგიზ ქავთარაძე, ზაურ ფხალაძე, ნოდარ კურტანიძე, ბადრი ბიწაძე, ნუგზარ ქევხიშვილი, ბიძინა სონღულაშვილი, შოთა ასათიანი, თემურ მურღულია, ვოვა ისელიძე, რამაზ ხეცურიანი, ბადრი წილოსანი, ნოდარ ბოლოთაშვილი, დათო გელაძე, ზურაბ ფოჩხუა, მერაბ გურული, ნოდარ მთვარელიძე, თემურ კუჭუხიძე, თემურ ნიკოლეიშვილი, ვაჟა აფციაური, ლევიკო და დათო აბაშიძეები, დათო მაღრაძე, მერაბ ნასრაძე, ბადრი ბადურაშვილი, თამაზ კაკოიშვილი, მერაბ კირკიტაძე, ვახტანგ ქავთარაძე, დათო სალაძე.

**თენგიზ, ქეთევან, ქეთი ქავთარაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, ცნობილი პიროვნების**

## მიხეილ გიორგის ძე სალაძის

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**



**შვილები ლია, კობა, ნიკოლოზ (ბაჩო) კობაიძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან უძვირფასესი დედის, მაღალპროფესიონალი ფარმაცევტის, თხემით ტერფამდე ინტელიგენტის, კდემამოსილი ქალბატონის**

## ნათელა ღრუბელაშვილი-კობაიძის

გარდაცვალების გამო.

**დაკრძალვა 3 თებერვალს, 14 საათზე, დედოფლისწყაროს მუნიციპალტიტეტის სოფელ არხილოსკალოში.**



# გივი მიქანაძე იერუსალიმში

**საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრს გივი მიქანაძეს იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქმა, უნეტარესმა თეოფილე III-მ საპატრიარქოში უმასპინძლა.**

შეხვედრაზე მინისტრმა მადლიერება გამოხატა იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც იერუსალიმის საპატრიარქო ისრაელში მცხოვრები ქართული დიასპორის მიმართ ავლენს. მან პატრიარქთან საუბრისას ყურადღება გაამახვილა მართლმადიდებლური სარწმუნოების განმტკიცებისა და განვითარებისთვის ერთობლივი ძალისხმევის აუცილებლობაზე. ხაზი გაესვა მსოფლიოში მშვიდობის მნიშვნელობას და ამ მიმართულებით ეკლესიის განსაკუთრებულ როლს, ასევე, იმ ისტორიულ კავშირებს, რომლებიც ქართულ ეკლესიასა და იერუსალიმის საპატრიარქოს შორის საუკუნეების განმავლობაში არსებობს.

**თეოფილე III-მ გივი მიქანაძე და დელეგაციის წევრები დალოცა და მათ წარმატებები უსურვა.**



# მარჯანიშვილის თეატრში მსახიობებს სახელობითი ჯილდოები გადაეცათ

**გუშინწინ სპექტაკლის „სესილია და ვერიკო“ დასრულების შემდეგ, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა სახელობითი ჯილდოების გადაცემის ცერემონია, რომლის ფარგლებშიც კოტე მარჯანიშვილის თეატრმა მსახიობები სახელობითი ჯილდოებით დააჯილდოვა.**

მარჯანიშვილის თეატრის ინფორმაციით, ჯილდოები მსახიობებს გადასცა თეატრალური მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარემ **გიორგი გეგეჭკორმა.**

დაჯილდოვდნენ:

**ქეთი ჩხეიძე** – სესილია თაყაიშვილის სახელობის ჯილდო;

**ეკა ჩხეიძე** – ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ჯილდო;

**ლეო ანთაძე** – ვასო გოძიაშვილის სახელობის ჯილდო;

**ეკა მჟავანაძე** – ელენე ყიფშიძის სახელობის ჯილდო;

**ვალერი კორშია** – ამაგდარის წოდება.

**„ვულოცავთ დაჯილდოებულ მსახიობებს და ვუსურვებთ შემოქმედებით წარმატებას“,** – წერია გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ვერცხლისა და ოქროს ფასები რეკორდულად დაეცა

**მსოფლიოში ვერცხლის ფასები 36%-ით შემცირდა, რაც ისტორიული ანტირეკორდია. ოქრომ კი ღირებულების 12% დაკარგა, რაც ყველაზე დიდი ვარდნაა ბოლო 40 წლის განმავლობაში. ძვირფასი ლითონების ბაზრებზე ფასების მკვეთრი კლება 30 იანვარს დაფიქსირდა.**

ბოლო პერიოდში ოქროსა და ვერცხლის ფასები მუდმივად იზრდებოდა გეოპოლიტიკური არასტაბილურობის, ომებისა და აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის (FED) ახალ ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული გაურკვევლობის ფონზე. ინვესტორები და ცენტრალური ბანკები ოქროს „უსაფრთხო აქტივად“ განიხილავდნენ.

30 იანვარს აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ამერიკის ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელის პოსტზე კევინ უორში წარადგინა. ბაზრებმა ეს ნაბიჯი აღიქვეს როგორც პროგნოზირებადი მონეტარული პოლიტიკის სიგნალი, რამაც ძვირფას ლითონებზე მოთხოვნა შეამცირა.

# ეროვნული სასახლის ახალგაზრდული კაპელა ძალებს იკრებს

**სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში ეროვნული სასახლის ახალგაზრდული კაპელას და თბილისის გოგონათა გუნდის კონცერტი გაიმართა.**

ახალგაზრდული კაპელა წელიწადნახევარია, რაც შეიქმნა და გუნდმა არაერთ მნიშვნელოვან ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა. კონცერტი საუკეთესო შესაძლებლობა იყო სტუდენტებისთვის, პრაქტიკული გამოცდილება მიეღოთ.



# ლონდონის საფონდო ბირჟა საქართველოს ულოცავს!

**ლონდონის საფონდო ბირჟა საქართველოს დელეგაციას მასპინძლობს და მიესალმება 500 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ხუთწლიანი ობლიგაციების განთავსებას,** – ამის შესახებ ლონდონის საფონდო ბირჟის „ლინკდინის“ პლატფორმაზე გამოქვეყნებულ პოსტშია ნათქვამი.

**„ლონდონის საფონდო ბირჟა საქართველოს დელეგაციას მასპინძლობს და მიესალმება 500 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ხუთწლიანი ობლიგაციების განთავსებას, რომელიც დღეიდან ლონდონის საფონდო ბირჟის მთავარ ბაზარზე ხვდება. ვულოცავთ საქართველოს და ფასიანი ქაღალდების განთავსების საკითხებზე მის მრჩევლებს ამ ტრანზაქციის წარმატებულ განხორციელებას“,** – ნათქვამია პოსტში.

**ფინანსთა სამინისტროს ცნობით, საქართველოს მთავრობამ წარმატებით განახორციელა 500 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ევროობლიგაციების გამოშვება ლონდონის საფონდო ბირჟაზე – კუპონის განაკვეთი დაფიქსირდა 5.125% ოდენობით.**




# THE BEATLES-ზე ფილმს იღებენ

**ინტერნეტში გავრცელდა პირველი კადრები სემ მენდესის მიერ დაგეგმილი მასშტაბური პროექტიდან, რომელიც ლეგენდარული ჯგუფის The Beatles-ის ისტორიას ეძღვნება.**

კადრები მაყურებელს პირველად აძლევს საშუალებას, დაინახოს, როგორ გარდაისახნენ თანამედროვე კინოს ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი მსახიობები მუსიკის ისტორიაში ყველაზე გავლენიან ფიგურებად.

**ჯონ ლენონის როლში ვხედავთ ჰარის დიკისონს, პოლ მაკარტნის განასახიერებს პოლ მესკალი, ჯორჯ ჰარისონის როლი ჯოზეფ ქვინს ერგო, ხოლო რინგო სტარის სახეს ბარი კეოგანი ატარებს.**



საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქოგულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქოგულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოგდებულ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„ფავორიტში“
აბელ ენუქიძის N5

ფავორიტი
სტამბა რომელსაც ენდობი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 4 თებერვალს